



**USAID**  
ამერიკელი საზღვარგარეთის  
დახმარების სააგენტო



საერთაშორისო თვითღირსშესაზღვრელობის პროგრამა

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE  
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

მხარეთა თანასწორობისა და  
შეჭიბვითობის პრინციპის  
გაძლიერება მტკიცებულებათა  
მოკვების, წარდგენისა და  
გამოკვლევის პროცესში

კვლევა

თბილისი, 2018

# მტკიცებულებებთან დაკავშირებული პრობლემები სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის კუთხით

კვლევა

თბილისი, 2018

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. ანგარიში მომზადდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) საგრანტო პროექტის ფარგლებში. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი ორგანიზაცია. იგი არ წარმოადგენს ამერიკის მთავრობის ოფიციალურ მოსაზრებას და არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

კვლევა განხორციელდა საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის პროექტის „მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის გაძლიერება სისხლის სამართლის პროცესში“ ფარგლებში.

## **კვლევაზე მუშაობდნენ:**

დავით კვაჭანტირაძე  
ქეთევან ჩომახაშვილი  
თინათინ შულაროვა  
თამარ აბულაძე

## სარჩევი

შესავალი .....	5
1. მტკიცებულების ცნება - საპროცესო დოკუმენტის ცნება .....	6
2. მოწმის დაკითხვის წესი .....	8
3. კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის წესი .....	9
4. მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლება .....	12
5. გამოძიების მონაცემების გამჟღავნების დაუშვებლობა .....	13
6. მტკიცებულებათა გამოთხოვა მხარის მიერ .....	15
7. მტკიცებულებების გაცვლა .....	17
8. მხარეების მომზადება ჯვარედინი დაკითხვისთვის - მოწინააღმდეგე მხარის მოწმის შესახებ ინფორმაციის წინასწარ მიღება .....	20
9. მტკიცებულებათა რელევანტურობის შეფასება სისხლის სამართლის პროცესში .....	22
10. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ შუამდგომლობის დაყენების აკრძალვა არსებით სხდომაზე .....	23
11. მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განჩინების გასაჩივრება .....	25
12. ბრალდებულის ადრინდელი ნასამართლობა .....	26
13. სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით განაჩენში ბრალდებულის ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა .....	27
14. ირიბი ჩვენება .....	29
15. მოწმის ჩვენების გამოქვეყნების შეზღუდვა სასამართლო პროცესზე .....	31
16. ფოტოსურათით ამოცნობისას ამომცნობი პირის სასამართლოზე დაკითხვის ვალდებულება .....	32
17. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სასამართლოს მონიტორინგის შედეგების ანალიზი .....	42
საერთაშორისო ექსპერტის, ბ.ნ რიჩარდ გებელინის მოსაზრება	
იხ. კვლევის ინგლისურის ნაწილში, გვ:	



წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია იურიდიული ფირმების ასოციაციის პროექტის სისხლის „სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის გაძლიერება“ ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში« (EWM/PROLoG) მიერ. დოკუმენტზე მუშაობდნენ სიფა-ს ექსპერტი ბატონი დავით კვაჭანტირაძე და მოწვეული ექსპერტი ქალბატონი ქეთევან ჩომახაშვილი. ასევე, კვლევაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა – თინათინ შულაროვამ და აღმასრულებელი დირექტორის ასისტენტმა, თამარ აბულაძემ.

სიფა-ს პროექტის მიზანია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის გაძლიერება მტკიცებულებათა მოპოვების, წარდგენისა და გამოკვლევის პროცესში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სსსკ) აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპის საფუძველზე. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ ბრალდების და დაცვის მხარეებს უნდა გააჩნდეთ გონივრულად თანაბარი საპროცესო შესაძლებლობები — სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან საბოლოო ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოტანის ჩათვლით.

სსსკ შეიცავს მთელ რიგ საკანონმდებლო ხარვეზებს, მათ შორის მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ასევე, რიგ შემთხვევებში, კოდექსში ცხადი რეგულაციების არარსებობა ქმნის მხარეთათვის არათანაბარ შესაძლებლობებს მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოვლენის პროცესში.

საბოლოო ჯამში, ხარვეზები სისხლის სამართლის პროცესში განაპირობებს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას, რამდენადაც მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთერთი ფუნდამენტური პრინციპია.

აღწერილ პრობლემატიკაზე სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი უფლებადაცვითი ორგანიზაციები წლების განმავლობაში მიუთითებენ. წინამდებარე დოკუმენტში თავმოყრილია სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მოსაზრებები და რეკომენდაციები ხარვეზების შესახებ.

დოკუმენტი შეიცავს 16 საკითხს. თითოეული საკითხი იდენტურად არის დამუშავებული. პირველი პუნქტი მიმოიხილავს პრობლემის/ხარვეზის არსს, მე-2 პუნქტში დასახელებულია სხვადასხვა ორგანიზაციების კვლევები იდენტიფიცირებული პრობლემის თაობაზე, მე-3-ში კი გაცემულია რეკომენდაცია ხარვეზის გამოსწორების მიზნით.

დოკუმენტზე მუშაობის პროცესში გაიმართა შეხვედრები სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებთან – პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში, იუსტიციის სამინისტროსა და მთავარი პროკურატურის წარმომადგენლებთან, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებთან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და იურიდიული ფირმების ასოციაციის ადვოკატებთან, არასამთავრობო

ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. დოკუმენტი შეფასებისა და რეკომენდაციებისათვის გადაეგზავნა საერთაშორისო ექსპერტს, ბატონ რიჩარდ გებელინს, რომლის მოსაზრებები აისახა დოკუმენტის საბოლოო ვარიანტში.

დოკუმენტის საფუძველზე მომზადა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც წარედგინა საქართველოს პარლამენტს და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებს.



# 1. მტკიცებულების ცნება – საპროცესო დოკუმენტის ცნება

## 1. პრობლემა / საკანონმდებლო ხარვეზი

სსკ-ს მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, მტკიცებულებაა – „კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო, კინო, ვიდეო, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით“.

მტკიცებულების ცნებიდან გამომდინარე, ყველაზე ხშირად სადაოა საკითხი, წარმოადგენს თუ არა მტკიცებულებას ისეთი საპროცესო დოკუმენტები როგორიცაა, მაგალითად, მოსამართლის განჩინება ჩხრეკის ჩატარებაზე, დაკავების ოქმი, დადგენილება ბრალდების შესახებ და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტები ადასტურებენ ამა თუ იმ მტკიცებულების კანონიერად მოპოვებას ან/და გამოხატავენ მხარეების საპროცესო პოზიციას ამა თუ იმ საკითხზე. ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მხარეები და სასამართლო არაერთგვაროვნად განმარტავენ და არასწორად იყენებენ კანონით მინიჭებულ თავის უფლებამოსილებას ამ საპროცესო დოკუმენტების დაუშვებლად ცნობის და საქმიდან ამორიცხვის თაობაზე, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მათგანის (მაგალითად, ბრალდების შესახებ დადგენილების) დაუშვებლად ცნობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქმის შედეგზე.

## 2. სხვადასხვა ორგანიზაციების კვლევები

ამ პრობლემის თაობაზე აღნიშნავს მკვლევართა ჯგუფი თავის 2016 წელს განხორციელებულ კვლევაში – „მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში“.<sup>1</sup> აღნიშნული კვლევის პროცესში ამ პრობლემის თაობაზე ისაუბრეს ინტერვიუს დროს გამოკითხულმა პირებმა და განაცხადეს, რომ აღნიშნული ნორმა არ არის განჭვრეტადი, რის გამოც სასამართლო პრაქტიკა ყალიბდება არაერთგვაროვნად და, ხშირ შემთხვევაში, ურთიერთგამომრიცხავად, რაც ხელს უშლის მხარეებს სრულყოფილად მოახდინონ თავიანთი უფლებების რეალიზაცია. კვლევაში მოცემულია რეკომენდაცია, „ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებული მტკიცებულებათა ცნება შეიცვალოს, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს მტკიცებულებები და საპროცესო დოკუმენტები, რათა სასამართლო პრაქტიკაში გამოირიცხოს დაცვის მხარის ვალდებულება თავის თავზე აიღოს მტკიცების ტვირთი, ისევე როგორც მოსამართლის შესაძლებლობა, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე არაერთგვაროვნად განმარტოს კანონი.“<sup>2</sup>

აღნიშნულ საკითხს ეხება ასევე ეუთოს სასამართლო პროცესის მონიტორინგის 2014 წლის ანგარიში, სადაც მოცემულია რეკომენდაცია სასამართლო ხელისუფლების მისამართით, რომ არ დაუშვან ბრალდებულად ცნობის დადგენილების მტკიცებულებად მიჩნევა, ვინაიდან აღნიშნული ფაქტურად იწვევს მტკიცების ტვირთის ბრალდებულზე გადატანას.<sup>3</sup>

1 იხ.: [https://www.osgf.ge/files/2016/Publications/merged\\_document\\_2.pdf](https://www.osgf.ge/files/2016/Publications/merged_document_2.pdf)

2 იხ.: [https://www.osgf.ge/files/2016/Publications/merged\\_document\\_2.pdf](https://www.osgf.ge/files/2016/Publications/merged_document_2.pdf), გვ 155.

3 იხ.: <http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true>, პარაგრაფი 120.

### **3. სასამართლო პრაქტიკა:**

სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკა – თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის 2016 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით, მიუხედავად იმისა, რომ მსგავს რამეს საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებდა, სისხლის სამართლის საქმეში არსებული მასალების ხასიათის მხედველობაში მიღებით, იმისათვის რომ განსაზღვრულიყო თუ რომელი წერილობითი დოკუმენტი წარმოადგენს მტკიცებულებას და ზოგადად რა არის მტკიცებულება, რომლის დასაშვებობაზეც მსჯელობს სასამართლო, ერთმანეთისაგან გაიმიჯნა საპროცესო გადაწყვეტილება, საპროცესო მოქმედება, საგამოძიებო მოქმედება და მტკიცებულება.

მოსამართლის მოსაზრებით,

ა) საპროცესო გადაწყვეტილება არის პროცესის მწარმოებელი პირის გადაწყვეტილება ამა თუ იმ საკითხზე, მაგ.: ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილება, ან გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების შესახებ დადგენილება, ან ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილება და სხვა ანალოგიური საპროცესო გადაწყვეტილებები.

ბ) საპროცესო მოქმედება არის პროცესის მწარმოებელი პირის ნებისმიერი მოქმედება რომელიც არ არის საპროცესო გადაწყვეტილება ან/და საგამოძიებო მოქმედება. მაგ.: პოლიციის თანამშრომლის პატაკი, გამომძიებლის მიმართვა ექსპერტისადმი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, ექსპერტის წერილი (მიმართვა) გამომძიებლისადმი უკვე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის გადაგზავნის შესახებ, პირისათვის ბრალდების წარდგენა (ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გაცნობა და მისთვის დადგენილების ასლის გადაცემა (განსხვავებით ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანისა რომელიც საპროცესო გადაწყვეტილებაა) და სხვა ანალოგიური.

გ) საგამოძიებო მოქმედება კი არის ისეთი საპროცესო მოქმედება, რომელიც მიმართულია მტკიცებულებათა მოპოვებისაკენ.

დ) მტკიცებულებაა ნებისმიერი დოკუმენტი (მათ შორის, ჩვენება), საგანი, ნივთი, ან ნივთიერება, რომელთა მეშვეობითაც მხარეები ამტკიცებენ, ხოლო სასამართლო ადგენს პირის უდანაშაულობას, ნაკლებ ბრალს, ან ბრალეულობას, ან/და გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, სასჯელის სახესა და ზომაზე. ანუ მტკიცებულებაა ნებისმიერი დოკუმენტი (მათ შორის, ჩვენება), საგანი, ნივთი, ან ნივთიერება, რომელთა მეშვეობითაც მხარეები ამტკიცებენ, ხოლო სასამართლო ადგენს მტკიცების საგანთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს ქმედების სუბიექტის, სუბიექტური მხარის ობიექტის ან/და ობიექტური მხარის შესახებ. შესაბამისად მოსამართლემ დაადგინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია წინასასამართლო სხდომაზე იმსჯელოს მხოლოდ საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების (მაგ. ექსპერტიზის დასკვნა, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ამოსაცნობად წარდგენის ოქმი და ა.შ.) დასაშვებობის თაობაზე.

### **4. რეკომენდაცია**

მიზანშეწონილია, რომ სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებული მტკიცებულების ცნება შეიცვალოს და ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს მტკიცებულებები და საპროცესო დოკუმენტები, რათა სასამართლო პრაქტიკაში არსებული გაუკვევლობა აღმოიფხვრას და მხარეებს შესაძლებლობა მიეცეთ სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველებით იდაონ როგორც მტკიცებულების, ასევე საპროცესო დოკუმენტის დაუშვებლობაზე. ამასთან, აუცილებელია, რომ საპროცესო კოდექსში გაიწეროს საპროცესო დოკუმენტების დაუშვებლად/ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველები და მექანიზმი.





## 2. მოწმის დაკითხვის წესი

### 1. პრობლემა / საკანონმდებლო ხარვეზი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ბრალდებისა და დაცვის მხარეს გამოძიების დროს მოწმის დაკითხვის განსხვავებული შესაძლებლობები გააჩნიათ, რაც არღვევს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს.

კერძოდ, სსკ-ის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს უფლება აქვს გამოძიების დროს მოითხოვონ სასამართლოს წინაშე მოწმის დაკითხვა თუ არსებობს გარკვეული გარემოებები. უფრო კონკრეტულად,

ა) არსებობს მოწმის სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს;

ბ) მოწმე დიდი ხნით ტოვებს საქართველოს;

გ) არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს;

დ) ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

თუმცა, ამასთანავე, დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ „ბრალდების მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება ასევე დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი, და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს“.

ამდენად, თუ მუხლის პირველი ნაწილით მოწმის დაკითხვა შეიძლება ორივე მხარემ მოითხოვოს, მე-2 ნაწილის საფუძველზე სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ ბრალდების მხარეს. ამასთან, მე-2 ნაწილის საფუძველი ფართოა და ბრალდების მხარეს ეძლევა შესაძლებლობა საერთოდ არ ასახულოს მოწმის დაკითხვის მიზანშეწონილობა მუხლის პირველი ნაწილით და მხოლოდ მე-2 ნაწილის საფუძველით მოითხოვოს ნებისმიერი მოწმის (რომელმაც გამოკითხვაზე უარი განაცხადა) დაკითხვა სასამართლოში. მაშინ როცა ასეთი შესაძლებლობა დაცვის მხარეს არ აქვს და იგი მხოლოდ პირველი ნაწილის საფუძველებით თუ მიმართავს სასამართლოს.

ამასთან, საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, თუ მოწმის დაკითხვა მიმდინარეობს ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, იმის გამო, რომ მან ნებაყოფლობით ინფორმაციის მიწოდებაზე განაცხადა უარი, დაცვის მხარეს უფლება არ აქვს მონაწილეობა მიიღოს ამ დაკითხვაში. განსხვავებით ამავე კოდექსით დადგენილი მოწმის სასამართლოში დაკითხვის სხვა შემთხვევებისა, რაც ასევე არღვევს შეჯიბრებითობის პრინციპს და დაცვის მხარეს ართმევს შეაძლებლობას ჯვარედინი წესით დაკითხოს მოწმე.

გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის მერვე ნაწილი, 114-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, ითვალისწინებს მხოლოდ ბრალდების მხარის უფლებამოსილებას გამოკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში, განუმარტოს გამოსაკითხი პირს, რომ ის შეიძლება დაბარებულ იქნეს მაგისტრატ მოსამართლესთან ჩვენების მისაცემად, რომ ჩვენების მიცმა სავალდებულოა და ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს გამოსაკითხი პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რაც ასევე საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებას.

შესაბამისად, სსკ-ს ასეთი რეგულაცია ბრალდების მხარეს აყენებს აშკარად უპირატეს მდგომარეობაში მტკიცებულებების მოპოვების კუთხით, რაც არღვევს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს.

## 2. სხვადასხვა ორგანიზაციების კვლევები

აღნიშნული პრობლემის თაობაზე უთითებდა „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ 2016 წლის ანგარიშში ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის ერთი თვის შესრულების შესახებ.<sup>4</sup> ორგანიზაცია მხარეთა თანასწორობისა და შევიბრებიანობის პრინციპის დარღვევად განიხილავს იმ გარემოებასაც, რომ დაცვის მხარე მოკლებულია შესაძლებლობას დაესწროს ბრალდების მხარის შუამდგომლობით მოწმის მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვის პროცესს.

საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშში ასევე ხაზგასმულია, რომ ბრალდების მხარე აქვს უპირატესობა დაცვის მხარესთან შედარებით მოწმის გამოკითხვის დროს, რაც გამოიხატება მოწმის სასამართლოზე დაკითხვის შესაძლებლობით.<sup>5</sup> ასევე, იმ გარემოებით, რომ დაცვის მხარე არ ესწრება დაკითხვას. „პრობლემატურია ასევე ის, რომ დაცვის მხარე (როდესაც ბრალდებული უკვე არის საქმეში) ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, სასამართლოში პირის დაკითხვას არ ესწრება. მხარეებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები, უშუალოდ და ზეპირად გამოიკვლიონ მტკიცებულება. ამ შესაძლებლობის გარეშე მხარეთა თანასწორობა გამოირიცხულია. სასამართლო პროცესზე მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეული მტკიცებულება – მოწმის ჩვენება სანდოობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა, განსხვავებით მხოლოდ ერთი მხარის მონაწილეობით ჩატარებული დაკითხვისას მიღებული ჩვენებისაგან. სასამართლოში მოწმის დაკითხვისას, თუნდაც დაკითხვა გამოძიების ეტაპზე, მაგისტრატ მოსამართლესთან განხორციელდეს, აუცილებელია დაცვის მხარის (როცა სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია) დასწრება და მონაწილეობა.“

## 3. რეკომენდაცია

ცვლილება შევიდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 113-ე მუხლის მე-8 ნაწილში და ნაცვლად ბრალდების მხარისა მიეთითოს მხარეები, ხოლო 114-ე მუხლის მე-10 ნაწილის ამოღებულ იქნეს, ვინაიდან აღნიშნული ნორმების არსებული რედაქცია ეწინააღმდეგება მხარეთა შევიბრებიანობის პრინციპს. ამასთან, საჭიროა განხორციელდეს ცვლილება ამ დებულებებთან დაკავშირებულ სხვა ნორმებშიც.

## 3. კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის წესი

### 1. პრობლემა / საკანონმდებლო ხარვეზი

სსსკ-ის 136-ე მუხლის პირველი ნაწილი<sup>6</sup> მხოლოდ პროკურორს ანიჭებს კომპიუტერული სისტემიდან ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალებიდან ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ სასამართლოს წინაშე შუამდგომლობის დაყენების უფლებამოსილებას.

სსსკ-ისა და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის რეჟიმში ექცევა როგორც მომსახურების მომწოდებლისგან, მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა<sup>7</sup> ასევე ამ რეჟიმში შედის ნებისმიერი პირის კომპიუტერული სისტემიდან ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალებიდან საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვაც.

4 „ანგარიშში ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის ერთი თვის შესრულების შესახებ“, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2016, გვ. 20-21.

5 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში, გვ 456

6 „1. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით“.

7 იურიდიულ ლიტერატურაში და პრაქტიკოს იურისტებს შორისაც არსებობს მოსაზრება, რომ კომპიუტერული მონაცემების გამოთხოვის წესი ვრცელდება მხოლოდ „მომსახურების მომწოდებლისგან“ ინფორმაციის გამოთხოვაზე

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაცვის მხარისგან განსხვავებით, ბრალდების მხარე უფლებამოსილია სასამართლოს წესით გამოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი ელექტრონული მონაცემის მატარებლიდან. რაც, დღევანდელი ტექნოლოგიური რეალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან უპირატესობაში აყენებს მას.

ამასთან, სსსკ-ის 136-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებულია ვალდებულება, რომ კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოპოვება განხორციელდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გზით. აღნიშნული თავის მხრივ, არღვევს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს, ბრალდების მხარის სასარგებლოდ

## **2. სხვადასხვა ორგანიზაციების კვლევები**

საქართველოს იურდიული ფირმების ასოციაცია (შემდგომში სიფა) თავის 2016 წლის კვლევაში<sup>8</sup> მიუთითებს შემდეგზე: „სსსკ-ის 136-138-ე მუხლების თანხმად, მხოლოდ პროკურატურაა უფლებამოსილი მიმართოს სასამართლოს კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის გამოთხოვის შუამდგომლობით. სასამართლო პრაქტიკაში მკვიდრდება სსსკ-ის 136-ე მუხლის ფართო ინტერპრეტაცია და დასახელებულ მუხლში მოიაზრება ნებისმიერი ინფორმაცია, რაც შეძლება ინახებოდეს კომპიუტერულ საშუალებაში. ასეთი რეგულირება და მის საფუძველზე განვითარებული სასამართლო პრაქტიკა, დაცვის მხარეს უსპობს შესაძლებლობას მოიპოვოს ნებისმიერი ისეთი მტკიცებულება, რაც კომპიუტერულ სისტემაში ინახება. შედეგად, სახეზეა მნიშვნელოვანი დისბალანსი ბრალდების მხარის სასარგებლოდ. მიზანშეწონილია, შევიდეს ცვლილება სსსკ-ის 136-ე პირველი ნაწილში და ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს, რომ 136-ე მუხლით გათვალისწინებული გამოთხოვა გამოიყენება მხოლოდ კომპიუტერული სისტემის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულისგამოძიების პროცესში.“

დასახელებულ პრობლემაზე მიუთითებდა მკვლევართა ჯგუფი 2016 წელს განხორციელებულ კვლევაშიც – „მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში“.<sup>9</sup> კვლევაში გამოთქმულია შემდეგი სახის რეკომენდაცია: „იმის გამო, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის/მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობა მხოლოდ ბრალდების მხარეს მიანიჭა და, ამასთან, სასამართლო პრაქტიკა ამ კუთხით უჩვეულოდ განვითარდა, აუცილებელია საპროცესო კოდექსში დაზუსტდეს კომპიუტერული მონაცემის ცნება და ახლებურად განისაზღვროს ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობები, ასევე შესაბამის ნორმებს დაემატოს მითითება მათი საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლით დადგენილი წესით ჩატარების თაობაზე.“

აღნიშნულ საკითხს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის დარღვევის ნათელ მაგალითად განიხილავს საქართველოს დემოკრატიული ინიციატივაც— „მონაცემთა დიდი ნაწილი, რაც შეიძლება დაცვის მხარეს ესაჭიროებოდეს თავისი პოზიციის გასამყარებლად, შესაძლოა ინახებოდეს კომპიუტერულ სისტემებში, რისი ამოღების უფლებაც დაცვის მხარეს არ აქვს, ბრალდების მხარისგან განსხვავებით. ამგვარი არათანასწორო მიდგომა პროცესის მხარეების მიმართ, გაუმართლებელია შეჯიბრებითობის უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარე. ამდენად, საჭიროებს გადახედვას“.<sup>10</sup>

## **3. სასამართლო პრაქტიკა**

ა) საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა – სსსკ-ის 136-ე მუხლის კონსტიტუციურობის საკითხზე იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელმაც, 2017 წლის 27 იანვრის N1/1/650,699 გადაწყვეტილების საფუძველზე არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ-ის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამოირიცხავს დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვას. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილი არღვევს მხარეთა

8 „დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება სასამართლოს მეშვეობით“, 2016წ. იხ.: <http://alfig.ge/wp-content/uploads/2016/07/sifa-new.pdf>

9 იხ.: [https://www.osgf.ge/files/2016/Publications/merged\\_document\\_2.pdf](https://www.osgf.ge/files/2016/Publications/merged_document_2.pdf)

10 იხ.: <http://www.gdi.ge/uploads/other/0/252.pdf>, გვ 13-14

შევიბრებოთ პრინციპს, ვინაიდან ნორმის საფუძველზე, თანამედროვე რეალობაში, ციფრული ინფორმაციის მოცულობის გაზრდის გამო, ბრალდებულის ხელმისაწვდომობის მიღმა რჩება ინფორმაციის უზარმაზარი სპექტრი, რომელიც სხვადასხვა დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე შესაძლებელია არა მხოლოდ აუცილებელი იყოს პოზიციის დასაბუთებისა და არგუმენტირებისათვის, არამედ შეიძლება წარმოადგენდეს ერთდარეულ გამამართლებელ მტკიცებულებას. შესაბამისად, ნორმა არღვევს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ დაცვის უფლებას (42-ე მუხლის მე-3 პუნქტი) და ასევე შევიბრებოთ პრინციპს (40-ე მუხლის მე-3 პუნქტი);

## ბ) სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკა:

ბ.ა) საქმეებში N1გ/118, N1გ/548 და N1გ/119 თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეებმა სრულად გაიზიარეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილება და კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულად მიიჩნიეს CD დისკზე გაკეთებული და ბრალდების მხარისათვის მესაკუთრის მიერ ნებაყოფლობით დათვალეობის გზით გადაცემული მასალები, იმ მოტივით, რომ მხარე ვალდებული იყო, ეს მტკიცებულებები მოეპოვებინა მოსამართლის განჩინების გზით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. განჩინებებში სასამართლომ განმარტა, რომ „როდესაც საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლის მხრიდან ადგილი აქვს კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში დაცული, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოთხოვას, ეს მოქმედება უნდა ჩატარდეს ისევე, როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედება და არა როგორც ჩვეულებრივი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას“. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ „ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე არ ვრცელდება ნებაყოფლობითობა, სხვანაირად ეს საგამოძიებო მოქმედება დაკარგავდა იმ სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას, რასაც ემსახურება ფარულ რეჟიმში ინფორმაციის მოპოვება“.

ბ.ბ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ყველა ელექტრო მოწყობილობას, მათ შორის პროფესიულ ვიდეოკამერას, გააჩნია პროცესორი, რომელზეც შესაძლებელია ინფორმაციის შემცველი ვითარების ჩაწერა და შენახვა, შეაბამისად ის არის კომპიუტერული სისტემა;

ბ.გ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 სექტემბრის განჩინებით, სასამართლომ ერთმანეთისაგან განასხვავა კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვა ამოღებისაგან და განმარტა, რომ ინფორმაციის გამოთხოვის დროს ხდება კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში დაცული საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის (ელექტრონული სახით არსებული ინფორმაციის, ამ შემთხვევაში, ობიექტის) მოპოვება, ხოლო ამოღების მიზანია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის (ისეთი ობიექტის, რომელიც არ არის ელექტრონული სახის და არ წარმოადგენს კომპიუტერულ მონაცემს) ამოღება, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ეს საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის.

ბ.დ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 2 ივნისის განჩინებით სასამართლომ დააკმაყოფილა რა პროკურორის საჩივარი ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის განაჩენზე განმარტა შემდეგი: სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვა არის ამოღების ერთ-ერთი კერძო შემთხვევა, მისი სპეციალური სახე. ამოღებისა და ჩხრეკის, ასევე საკუთრების, მფლობელობისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შემზღუდავი სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლი მხარეთათვის ადგენს მკაცრად გაწერილ პროცედურას, რომლიც რეგულირების ქვეშაა უნდა მოექცეს სსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის და დოკუმენტის გამოთხოვაც. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ინფორმაციის გამოთხოვის პროცედურა უნდა შეესაბამებოდეს ჩვეულებრივი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესს, რაც რეგლამენტირებულია სსკ-ის 112-ე მუხლით და არა ფარული საგამოძიებო მოქმედებისათვის დაწესებულ სტანდარტს. შესაბამისად ეს მოთხოვნა თანაბრად ეხება ბრალდების და დაცვის მხარეებს მათი საპროცესო უფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით, რადგან ინფორმაციის გამოთხოვა თავისი ბუნებით წარმოადგენს ჩვეულებრივ საგამოძიებო მოქმედებას

#### 4. რეკომენდაცია

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების იმპლემენტაციის და მხარეთა შეჯიბრებითობის უზრუნველყოფის მიზნით, სსსკ-ის 136-ე მუხლის პირველ და მეოთხე ნაწილებში, ასევე ამავე კოდექსის მესამე მუხლის 28-ე ნაწილში უნდა განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ: ა) დაზუსტდეს კომპიუტერული მონაცემის ცნება; ბ) მხარეები აღიჭურვონ თანაბარი უფლებამოსილებით კომპიუტერული სისტემიდან მოიპოვონ მონაცემები; გ) ნაცვლად ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მსგავსად საპროცესო კოდექსში გაკეთდეს ჩანაწერი ამ საგამოძიებო მოქმედების სსსკ-ის 112-ე მუხლით დადგენილი წესით ჩატარების თაობაზე.

### 4. მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლება

#### 1. პრობლემა / საკანონმდებლო ხარვეზი

სსსკ-ის მიხედვით, დაცვის მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს საგამოძიებო მოქმედების – ჩხრეკა/ამოღების ჩატარების შუამდგომლობით.

ჩხრეკა/ამოღების შესახებ დაცვის მხარის შუამდგომლობის მოსამართლის მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში, იგი დაავალებს საგამოძიებო უწყებას საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას. ჩხრეკა/ამოღებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ არის ამ საქმის გამომძიებელი.

ჩხრეკა/ამოღების განმახორციელებელი გამომძიებლის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული საგნის, ნივთის, ნივთიერების პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე. მტკიცებულება მხოლოდ ამის შემდეგ გადაეცემა დაცვის მხარეს.

სსსკ-ში მოცემული ასეთი რეგულირება საფრთხეს წარმოადგენს სამართლიან სასამართლოს ისეთი უფლების რეალიზებისათვის, როგორც არის დაცვის უფლება და ბრალდებულის თვითინკრინაციისაგან დაცვის პრივილეგია. კერძოდ, საფრთხე შემდეგია:

ძალიან ხშირად სისხლის სამართლის პროცესში ადგილი აქვს ვითარებას, როცა მხარემ (მათ შორის დაცვის მხარემ) წინასწარ არ იცის, ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედებას მოჰყვება თუ არა მისთვის სასარგებლო მტკიცებულების მოპოვება შედეგად. ამასთან, დაცვის მხარე, ბრალდების მხარისგან განსხვავებით, არ არის ვალდებული იყოს ობიექტური და ყოველმხრივი. დაცვის მხარე, მტკიცებულების წარდგენის მიზანშეწონილობის საკითხს იხილავს მისი მოპოვების შემდეგ და იღებს მტკიცებულების სასამართლოსადმი და მეორე მხარისადმი წარდგენის გადაწყვეტილებას არა საქმის გარემოებების ობიექტური გარკვევის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ბრალდებულის ინტერესების საფუძველზე. შესაბამისად, დაცვის მხარეს უფლება აქვს მისთვის ზიანის მომტანი მტკიცებულება არ წარუდგინოს ბრალდების მხარეს და არც სასამართლოს.

აღნიშულისგან განსხვავდება ბრალდების მხარის მდგომარეობა. კერძოდ, სსსკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. ამიტომ, თუ ბრალდების მხარე, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულების გამოკვლევისას დაადგენს, რომ ამ მტკიცებულებას მნიშვნელობა აქვს საქმის გარემოებათა ობიექტური, ყოველმხრივი და სრული გამოძიებისათვის, მით უფრო, თუ ეს მტკიცებულება ბრალდების პოზიციების გასამყარებლად გამოადგება, ვალდებულია მტკიცებულება და მისი გამოკვლევის შედეგები ბრალდების საქმეში ასახოს. ამდენად, საკმაოდ ხშირად მივიღებთ ვითარებას, როცა დაცვის მხარისთვის მინიჭებული უფლებით (მიიღოს მტკიცებულება სასამართლოს დახმარებით) რეალურად ისარგებლებს არა ბრალდებული, არამედ ბრალმძებელი, ბრალდებულის ინტერესების საზიანოდ. ასეთი ვითარება ეწინააღმდეგება მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს და ბრალდებულის დაცვის უფლების განხორციელებას. როგორც აღინიშნა, ადვოკატი დაცვის განხორციელების პროცესში მოქმედებს მხოლოდ ბრალდებულის ინტერესების და კანონიერი მითითებების შესაბამისად, პირის გამამართლებელი ან მდგომარეობის შემამსუბუქებელი პოზიციების გასამყარებლად. ეს არის დაცვის უფლების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი.



ამიტომ, თუ დაცვის მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას, დაცვის მხარის თანხმობის გარეშე, გამოიყენებს ბრალდების მხარე, სწორედ ბრალდებულის დაცვის უფლების განხორციელებას შეექმნება საფრთხე. ამასთან, ირღვევა ბრალდებულის თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლებაც, რომელიც სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი შემადგენელი გარანტიაა.

## **2. სხვადასხვა ორგანიზაციების კვლევები**

სიფა თავის 2015 წლის კვლევაში<sup>11</sup> უთითებდა დასახელებული პრობლემის შესახებ. აღნიშნული მიიჩნეოდა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა თავად საგამოძიებო მოქმედებაც დაცვის მხარეს ჩაეტარებინა. კვლევაში მოცემულია შემდეგი რეკომენდაცია: „მიზანშეწონილი იქნება, სსსკ-ის 111-ე მუხლის პირველ ნაწილში შევიდეს ცვლილება და დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ჩატარების უფლებამოსილება მიენიჭოს ადვოკატს. ხოლო სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი ამოღებულ იქნას. დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და სასამართლოს განჩინებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების ბრალდების მხარისთვის და სასამართლოსთვის წარდგენის საკითხს სსსკ-ს 83-ე მუხლის წესებით გადაწყვეტს დაცვის მხარე.

აღნიშნულ პრობლემაზე მიუთითებს საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა<sup>12</sup>, რომელსაც მიაჩნია, რომ, სსსკ-ის 120-ე მუხლის თანახმად დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე, ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის პირველადი გამოკვლევის უფლების ბრალდების მხარისთვის მინიჭება განხილულ უნდა იქნეს, როგორც ბრალდების მხარის პრივილეგიებულ მდგომარეობაში ჩაყენება და ბრალდების მხარის ეს პრივილეგია უნდა გაუქმდეს<sup>13</sup>.

## **3. რეკომენდაცია**

მართებული იქნება გაუქმდეს საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი (ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებების პირველადი გამოკვლევის უფლება), რაც, აღმოფხვრის ბრალდებულის დაცვისა და თვითინკრიმინირებისგან დაცვის უფლების დარღვევის საფრთხეს.

# **5. გამომძიების მონაცემების გამჟღავნების დაუშვებლობა**

## **1. პრობლემა / საკანონმდებლო ხარვეზი**

სსსკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „პროკურორი/გამომძიებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია არ გახდეს საჯარო. ამ მიზნით ის უფლებამოსილია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე დაავალდებულოს, მისი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს საქმეში არსებული ცნობები, და გააფრთხილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.“

სსსკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილით უფლებამოსილება ეძლევა პროკურორს და/ან გამომძიებელს დაავალდებულოს პროცესის მონაწილე მისი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს საქმეში არსებული ცნობები. სსსკ არ შეიცავს პროცესის მონაწილის განმარტებას და დამკვიდრებული პრაქტიკით მოიცავს ბრალდებულს და მის ადვოკატსაც. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როცა უკანასკნელი წლების პრაქტიკამ ცხადყო, რომ ბრალდების მხარის მიერ ძალიან ხშირად ხდება

11 იხ.: [http://alfig.ge/wp-content/uploads/2015/07/sisxli-temaze-kvleva\\_opt.pdf](http://alfig.ge/wp-content/uploads/2015/07/sisxli-temaze-kvleva_opt.pdf)

12 იხ.: <http://www.gdi.ge/uploads/other/0/252.pdf>

13 „სსსკ-ის 120-ე მუხლის თანახმად დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე, ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის პირველადი გამოკვლევის უფლება მინიჭებული აქვს ბრალდების მხარეს. რაც განხილულ უნდა იქნეს, როგორც ბრალდების მხარის პრივილეგიებულ მდგომარეობაში ჩაყენება“. იხ.: <http://www.gdi.ge/uploads/other/0/252.pdf>, გვ.13.



ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დაცვის მხარის, მათ შორის ადვოკატის (როგორც პროცესის მონაწილის) გაფრთხილება მისი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს საქმეში არსებული ცნობები, თუმცა, იმავე დროს, თავად ბრალდების მხარე ასაჯაროვებს საქმის მასალებს მაღალ საზოგადოებრივ ინტერესზე აპელირებით, რაც, გარკვეულწილად, წინასწარ ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას.

საქართველოს სსკ-ს 374-ე მუხლით დადგენილია გამოძიების მასალების გამჟღავნებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. კერძოდ, მასში მითითებულია, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მასალების ან გამოძიების მონაცემის გახმაურება იმის მიერ, ვინც კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული იყო მისი გახმაურების აკრძალვის შესახებ, — ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე“.

აღნიშნული მუხლის დეფინიციის მიხედვით პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს ყველა იმ პირის მიმართ (მათ შორის ბრალდებულის და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის), რომელიც გაფრთხილებული იქნა ინფორმაციის გახმაურების აკრძალვის შესახებ. შესაბამისად, როცა აკრძალვა ეხება დაცვის მხარეს, მოსალოდნელი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, იგი მოკლებულია შესაძლებლობას საქმის მასალებზე დაყრდნობით გააქარწყლოს ბრალდების მხარის მიერ საჯარო საშუალებებში გაჟღერებული პოზიცია. ასეთი ვითარება კი ქმნის მხარეთა უთანასწორობის ვითარებას და საზოგადოებაში აჩენს განცდას, რომ დაცვის მხარეს არ აქვს არგუმენტები ბრალდების მხარის მიერ გავრცელებული ინფორმაციის საპასუხოდ, რაც წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას.

ბრალდების მხარეს უფლება აქვს მისი ლეგიტიმური მიზნების<sup>14</sup> გათვალისწინებით დააწესოს ინფორმაციის გავრცელებაზე აკრძალვა დაცვის მხარისთვის. თუმცა, ეს უფლება მან არ უნდა გამოიყენოს ბოროტად და იმ ვითარებაში, როდესაც თავად ავრცელებს ამ ინფორმაციას საჯარო სივრცეში.

გარდა აღნიშნულისა, სადავო ნორმის თანახმად, პროცესის მონაწილის დავალებების (არ გაამჟღავნოს ინფორმაცია) შესახებ პროკურორისა და გამოძიებლის გადაწყვეტილება არ საჩივრდება. შესაბამისად, სსკ არ შეიცავს მნიშვნელოვან საპროცესო გარანტიას, რომელიც შეამოწმებდა ამ მექანიზმის გამოყენების შესაბამისობას სამართლიანი სასამართლოს პრინციპებთან. მნიშვნელოვანია ფაქტორია ის, რომ დაცვის მხარისთვის გაუმჟღავნებლობის ვალდებულების დაკისრება უზღუდავს დაცვის მხარეს დაცვის უფლებას – კერძოდ, უფლებას მოიპოვოს მტკიცებულება. კერძოდ, შეუძლებელი ხდება მოწმის სრულყოფილი გამოკითხვა, ექსპერტიზის დანიშვნა და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, რამდენადაც დაცვის მხარე ვერ მიაწვდის ექსპერტს, მოწმეს და მოქმედების სხვა მონაწილეს სათანადო ინფორმაციას. ამიტომ, ინფორმაციის გამჟღავნების აკრძალვის მართებულობის შემოწმების სასამართლო კონტროლი აუცილებელია მხარის თვითნებობის, უდანაშაულობის პრეზუმფციისა და დაცვის უფლების დარღვევის გამოსარიცხად.

## **2. სხვადასხვა ორგანიზაციების კვლევები**

აღნიშნულ საკითხზე მიუთითებდა სიფა მის 2015 წლის კვლევაში, რომელიც ეხებოდა სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა უთანასწორობისა და შევიწროებული პრინციპის უზრუნველყოფას. ორგანიზაციას შემუშავებული აქვს რეკომენდაცია: „დაწესდეს ბრალდების მხარისთვის ინფორმაციის გავრცელების აკრძალვა იმ შემთხვევაში თუ მის მიერ დაცვის მხარე გაფრთხილებულ იქნა საქმეში არსებული ცნობების გაუმჟღავნებლობის შესახებ. ასეთი დათქმა შესაძლებელია განხორციელდეს სსკ-ის 104-ე მუხლის პირველ ნაწილში.“<sup>15</sup>

აღნიშნულ პრობლემაზე მიუთითებს სახალხო დამცველი თავის 2016 წლის ანგარიშში. ერთ-ერთი საქმის შესწავლის პროცესში სახალხო დამცველმა გამოავლინა რომ „პროკურატურამ დაცვის მხარეს დააკისრა ვალდებულება, არ გაუმჟღავნებინა საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია, მაშინ როდესაც თავად ასაჯაროვებდა საქმის დეტალებს საკუთარი დისკრეციით. ამგვარი ზომის გამოყენება შეესაბამება კანონს, როდესაც იგი აუცილებელია გამოძიების ინტერესებისთვის. რამდენადაც გ.მ.—ს ბრალდებასთან დაკავშირებით შინაარსობრივ მონაცემებს თავად პროკურატურა ავრცელებდა, დაცვის მხარისთვის

<sup>14</sup> ასეთი ლეგიტიმური მიზანი შეიძლება იყოს გამოძიების ინტერესები.

<sup>15</sup> იხ.: [http://aifg.ge/wp-content/uploads/2015/07/sisxlis-temaze-kvleva\\_opt.pdf](http://aifg.ge/wp-content/uploads/2015/07/sisxlis-temaze-kvleva_opt.pdf), გვ 75

გაუთქმელობის ვალდებულება მის არათანასწორ მდგომარეობაში ჩაყენებაზე მიანიშნებს<sup>16</sup>. საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს მთავარ პროკურატურას, გაავრცელოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მიზნით მოხდა დაცვის მხარისთვის ამგვარი ვალდებულების დაკისრება, ასევე, გააუქმოს იგი, როდესაც აღარ იარსებებს გაუთქმელობის უკიდურესი აუცილებლობა, რათა არ დაირღვეს მხარეთა თანასწორობის პრინციპი.

### 3. რეკომენდაცია

დაწესდეს ორივე მხარისთვის ერთნაირი შესაძლებლობა გააფრთხილონ პროცესის სხვა მონაწილეები ინფორმაციის გამჟღავნების აკრძალვის შესახებ. ასევე, ორივე მხარეს მიეცეს შესაძლებლობა სასამართლოს მეშვეობით დააკისროს მეორე მხარეს ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის ვალდებულება. სასამართლოს თანხმობის შემთხვევაში ორივე მხარე იყოს ვალდებული თავი შეიკავოს ინფორმაციის გავრცელებისგან. ასევე, დაწესდეს შესაძლებლობა, მხარემ ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს მისთვის ინფორმაციის გავრცელების აკრძალვის მიზანშეწონილობის შემოწმების მიზნით.

## **6. მტკიცებულებათა გამოთხოვა მხარის მიერ**

### 1. პრობლემა / საკანონმდებლო ხარვეზი

სსსკ-ის მე-9 მუხლის თანახმად „მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.“

სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, „პროკურორი უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს გამოძიების პროცესში კერძო პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით.“

სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად ბრალდებულის უფლებაა „გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად.“

სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ მტკიცებულების მოპოვებისთვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით.“

სასამართლოპრაქტიკაიმასთანდაკავშირებით, აქვსთუარამხარეებსუფლებაგამოითხოვონმტკიცებულება, წინააღმდეგობრივად განვითარდა. ამაზე მიუთითებს სიფა-ს მიერ განხორციელებული კვლევის<sup>17</sup> შედეგები. პროექტის ფარგლებში მოხდა 2014-2015 წწ-ში დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების შესაძლებლობების შეფასება საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში<sup>18</sup> განვითარებულია მსჯელობა, რომ მხოლოდ სსსკ-ის ზოგადი, მე-9 და 39-ე მუხლებზე დაყრდნობით არ არის შესაძლებელი მტკიცებულების გამოთხოვა, რამდენადაც გამოთხოვას, როგორც მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას დაცვის მხარისთვის, არ იცნობს სსსკ-ში საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩამონათვალი და შესაბამისად, სსსკ არ შეიცავს მტკიცებულების გამოთხოვის კონკრეტულ წესებს.

აღნიშნული მოსაზრება დამახასიათებელია თითქმის მთელი სასამართლო პრაქტიკისთვის და მოსამართლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი თვლის, რომ ინფორმაციის მოპოვებაში სასამართლოს დახმარება შესაძლებელია არა მხოლოდ საგამოძიებო

16 იხ. სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში, გვ. 392. <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf>

17 “დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება სასამართლოს მეშვეობით - 2014-2015 წწ მდგომარეობა“, რომელიც განხორციელდა ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“-ს მხარდაჭერილი პროექტის „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მხარეთა შეჭიბვებითობის უზრუნველყოფისათვის რეკომენდაციების შემუშავება“ ფარგლებში.

18 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 26 თებერვლის განჩინება.





მოქმედებების ჩატარებაზე ნებაართვის გაცემით, არამედ ისეთი საპროცესო მოქმედებით, როგორიცაა ინფორმაციის გამოთხოვა.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო პრაქტიკა ასევე ბრალდების მხარის შემთხვევაშიც, განვითარდა იმგვარად, რომ ინფორმაციის და მტკიცებულების მოპოვება ხორციელდება ამათუიმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გზით.

ამდენად, დღეს გვაქვს ვითარება, როცა მიუხედავად სსსკ-ს ჩანაწერისა, რომ ბრალდების მხარეს სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით პირდაპირ მინიჭებული აქვს უფლებამოსილება სასამართლოს მიმართოს გამოძიების პროცესში კერძო პირთაგან ინფორმაციის გამოთხოვის შუამდგომლობით, ეს უფლებამოსილება რეალურად არ ხორციელდება. დაცვის მხარესაც, სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, ამგვარი გამოთხოვის შესაძლებლობა არ აქვს და მან მტკიცებულება უნდა მოიპოვოს რომელიმე საგამოძიებო მოქმედების (ძირითადად ესაა ჩხრეკა/ამოღება ან დათვალიერება) მოთხოვნის გზით.

სსსკ-ის ნორმათა (მე-9, 38-ე და 39-ე მუხლები) ზემოაღნიშნული განმარტება სასამართლოს მიერ არალოგიკურ და გაუმართლებლად ვიწრო განმარტებად უნდა ჩაითვალოს, თუმცა, როგორც ჩანს, დღეს, სასამართლო უკვე შეზღუდულია დამკვიდრებული პრაქტიკით და საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე ამ მოცემულობის დაძლევა შეუძლებელი იქნება.

ინფორმაციის გამოთხოვის, როგორც ინფორმაციის მოპოვების საპროცესო შესაძლებლობის დადგენა სსსკ-ში მნიშვნელოვნად გაზარდის მხარეთა შესაძლებლობებს მტკიცებულებათა მოპოვების თვალსაზრისით. ინფორმაციის გამოთხოვა ინფორმაციის მოპოვების მარტივი ფორმაა ჩხრეკა/ამოღებასთან შედარებით, რომელითაც ძირითადად ხდება, ინფორმაციის/მტკიცებულების მოპოვება მხარეების მიერ. კერძოდ:

1. ჩხრეკის/ამოღების ჩატარების აუცილებლობის დასაბუთებისთვის მხარის მიერ გაცხადებით მეტი არგუმენტი და ძალისხმევაა საჭირო, ვიდრე ეს გამოთხოვის დასაბუთებისთვის იქნებოდა საჭირო. ჩხრეკა/ამოღება არის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც პირის კონსტიტუციური უფლებებისთვის პოტენციური საფრთხის შემცველია. შესაბამისად, სსსკ ძალიან დეტალურ წესებს ადგენს ჩხრეკა/ამოღების ჩატარების შესახებ. გამოთხოვა კი, რომელიც საერთოდ შეიძლება არ იყოს საგამოძიებო მოქმედება, ასეთ რთულ რეგულაციებთან არ არის დაკავშირებული. მხარე მოითხოვს და კერძო ან საჯარო ორგანიზაციის უარის შემთხვევაში, სასამართლოს დახმარებით მიიღებს მისთვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტსა თუ საგანს და არ მოუწევს ჩხრეკა/ამოღების დეტალური რეგულაციების დაცვით მტკიცებულების მოპოვება;

2. დაცვის მხარის შუამდგომლობით ჩატარებული ჩხრეკა/ამოღების მეშვეობით მოპოვებული ნივთის/დოკუმენტის პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს, რაც დამატებითი სირთულეა დაცვის მხარის სწრაფი და ეფექტური გამოძიებისათვის; ასევე, დაცვის უფლებისათვის საფრთხეს წარმოადგენს სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის ჩანაწერი, რომლითაც ბრალდების მხარეს აქვს ამოღებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლება. ამ დანაწესის გამო, ადვოკატები ხშირად უარს აცხადებენ ჩხრეკა/ამოღების შესახებ შუამდგომლობის სასამართლოსადმი წარდგენაზე.

3. მტკიცებულების მოპოვება მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებების მეშვეობით და ამ პროცესში სახელმწიფო ორგანოების ჩართვით, მხარეების და მათ შორის, ბრალდებულის ფინანსური რესურსების არასაჭირო ხარჯვასთანაა დაკავშირებული. გამოთხოვის მარტივი პროცედურით (რომელიც მინიმალურ ხარჯებთან არის დაკავშირებული) მტკიცებულების მოპოვების ნაცვლად, კანონმდებლის მიერ დადგინილია (111-ე მუხლის პირველი ნაწილი), რომ ჩხრეკა/ამოღების ხარჯებს გაიღებს ბრალდებული. ბრალდების მხარისთვისაც ჩხრეკა-ამოღება ზედმეტ ფინანსურ ტვირთს წარმოადგენს ინფორმაციის გამოთხოვასთან შედარებით.

## **2. სხვადასხვა ორგანიზაციების კვლევები**

სიფა აღნიშნულ საკითხზე უთითებდა მის მიერ განხორციელებულ ორ კვლევაში, რომლებიც 2015 და 2016 წელს მიმდინარეობდა. 2016 წლის კვლევაში<sup>19</sup>, რომელიც მოიცავდა სასამართლო პრაქტიკის კვლევას, გამოიკვეთა, რომ დაცვის მხარეს, სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, გამოთხოვის შესაძლებლობა არ აქვს და მან მტკიცებულება უნდა მოიპოვოს რომელიმე საგამოძიებო მოქმედების (ძირითადად ესაა ჩხრეკა/ამოღება ან დათვალიერება) მოთხოვნის გზით. სიფას გაცემული აქვს რეკომენდაცია „სსსკ-

19 იხ.: <http://alfig.ge/wp-content/uploads/2016/07/sifa-new.pdf>

ში მხარეთა მიერ მტკიცებულების მოპოვებას გამოთხოვის მეშვეობით ეხება რამდენიმე ზოგადი მუხლი. კვლევამ გამოავლინა, რომ სსსკ-ში მხოლოდ ზოგადი ნორმების არსებობა, სპეციალური ნორმებით დადგენილი გამოთხოვის დეტალური წესების (მსგავსად საგამოძიებო მოქმედებებისა) გარეშე აფერხებს დაცვის მხარისთვის სასამართლოების მიერ მტკიცებულებათა გამოთხოვაში დახმარებას დაგანაპირობებს არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას. ამდენად, მიზანშეწონილი იქნება სსსკ-ში განისაზღვროს მტკიცებულების გამოთხოვის მეტად დეტალური და სპეციალური პროცესუალური წესები.“

### **3. სასამართლო პრაქტიკა**

ა) სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკა – თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 მაისის N1გ/816 განჩინებით სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის მე-9 მუხლის მეორე ნაწილი, სადაც საუბარია მხარის უფლებაზე დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, გამოთხოვოს სასამართლოს მეშვეობით, მიუთითებს, რომ ყველა პროცედურა უნდა ჩატარდეს ამ კოდექსით დადგენილი წესით. მე-9 მუხლში მითითებული ჩანაწერი არის ნორმა პრინციპი, ზოგადი მოქმედების ნორმა, მე-9 მუხლი მიეკუთვნება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების თავს, მე-9 მუხლის ნორმა მასში მითითებულ მხარის უფლების რეალიზაციაზე მიუთითებს დადგენილ წესზე, რაც ნიშნავს, რომ მხარეს უფლება აქვს მტკიცებულება მოიპოვოს, გამოთხოვოს სასამართლოს მეშვეობით კონკრეტულ შემთხვევებში საგამოძიებო მოქმედებების – კერძოდ, ამოღების, ჩხრეკის, დათვალიერების და ა.შ. ჩატარების გზით და ცალკე გამოთხოვა მე-9 მუხლის მიხედვით არ ხდება. ასევე განიმარტება სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნორმა, სადაც შეძლებისდაგვარად დაკონკრეტებულია დაცვის მხარისათვის, რომ მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელია საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედების ჩატარების გზით სასამართლოს მეშვეობით. ანუ მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ კანონით დადგენილი წესით კონკრეტული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარებით, და არა ზოგადად სსსკ-ის მე-9 და 39-ე მუხლების მიხედვით.

### **4. რეკომენდაცია**

ინფორმაციის გამოთხოვის შესაძლებლობაზე სასამართლოს წინააღმდეგობრივი პრაქტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნება საკანონმდებლო ცვლილების გზით უფრო კონკრეტული საკანონმდებლო ფორმულირებით, მხარეებს მიეცეთ მტკიცებულებათა მოპოვების შესაძლებლობა გამოთხოვით.

## **7. მთავარი შედეგების გაცვლა**

### **1. პრობლემა / საკანონმდებლო ხარვეზი**

მხარეებს შორის მტკიცებულებათა გაცვლის საკითხებს არეგულირებს სსსკ-ის 83-ე მუხლი, რომლის მე-ნაწილის თანახმად „წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ.“

საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლი (და არც სხვა მუხლები) არ არეგულირებს შემთხვევებს, როდესაც მტკიცებულების გამოთხოვა/მოპოვება ხორციელდება წინასასამართლო სხდომამდე 5 დღეზე ნაკლები ვადით ადრე ან წინასასამართლო სხდომის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ 239-ე მუხლი არეგულირებს ახალი მტკიცებულების არსებით სასამართლო განხილვაზე წარმოდგენასთან დაკავშირებულ საკითხებს, საპროცესო კოდექსში არ არსებობს ჩანაწერი იმის შესახებ თუ ასეთი მტკიცებულების მოპოვებიდან რამდენ ხანში უნდა უზრუნველყოს მხარემ მოწინააღმდეგე მხარისათვის გასაცნობად გადაცემა ან/და საერთოდ თუ არსებობს აღნიშნული ვალდებულება, თუ მხარეს ასეთი მტკიცებულების მოწინააღმდეგე მხარისათვის გადაცემის ვალდებულება წარმოეშობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული მტკიცებულების დაშვების შესახებ.

საპროცესო კოდექსი ასევე არ არეგულირებს გრიფით საიდუმლო დოკუმენტების ანდა მთლიანად გრიფით საიდუმლო საქმის მასალების გაცნობა/გადაცემის წესს, რაც სასამართლო პრაქტიკაში მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის. ეს საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონით სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ.

კერძოდ, გრიფით საიდუმლო საქმეებზე დაცვის მხარეს არ გადაეცემა საქმის მასალების ასლები და მხოლოდ საქმის გამოძიების ორგანოში გაცნობაა შესაძლებელი. გამოძიების მასალების ასეთი წესის პირობებში, დაცვის მხარე ვერ ახერხებს სათანადოდ მოემზადოს პროცესისთვის, რადგან ობიექტურად შეუძლებელია, განსაკუთრებით დიდი მოცულობის საქმეებში, გამოძიების მასალების მხოლოდ წაკითხვით, მომზადებულ იქნას დაცვის სრულფასოვანი სტრატეგია. ასეთ პირობებში, შეუძლებელი ხდება დაცვის მხარე სათანადოდ მოემზადოს მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვებისათვის, რაც სამართლიანი სასამართლო უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა. ამასთან, საიდუმლო საქმეები მიმდინარეობს დახურულ სასამართლო სხდომაზე და ბრალდებულის უფლება საჯარო სასამართლო პროცესზე მთლიანად უგულებელყოფილია.

## **2. სხვადასხვა ორგანიზაციების კვლევები**

საქართველოს სახალხო დამცველი 2014 წლის ანგარიშში მიუთითებს გრიფით საიდუმლო საქმესთან დაკავშირებით წარმოშობილ პრობლემებზე. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ გრიფით საიდუმლო საქმეებზე დაცვის მხარისათვის საქმის მასალების გადაცემაზე უარის თქმა ზღუდავს მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობას. ანგარიშში გამოთქმულია რეკომენდაცია: „სისხლის სამართლის საქმისთვის საიდუმლო გრიფის მინიჭების გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია შეფასდეს საქმის კონკრეტული მასალებისთვის (დოკუმენტისთვის) საიდუმლო გრიფის მინიჭების მიზანშეწონილობა; ასევე, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მხოლოდ ის მასალა უნდა გასაიდუმლოვდეს, რომელიც შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას, რადგან მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იქნეს გამოძიების პროცესში ბრალდებულებისთვის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული ადამიანის უფლებები, მათ შორის, მხარეთა თანასწორობის პრინციპის ესაბამისად, დაცვის მხარისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობა.“<sup>20</sup>

საიდუმლო საქმეების სასამართლო განხილვის პრობლემატიკას ეხება, ასევე, ეუთოს 2014 წლის მონიტორინგის ანგარიში.<sup>21</sup> ეუთოს აზრით „შემთხვევები, რომლებიც გულისხმობდნენ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის განუცალკევებლობას ძირითადი მტკიცებულებებიდან და საზოგადოების სასამართლოს დარბაზებში არ დაშვების შესახებ გადაწყვეტილებებს, რისკის ქვეშ აყენებდნენ ბრალდებულის საჯარო სასამართლო განხილვის უფლებას.“<sup>22</sup> ანგარიშში გაცემულია რეკომენდაცია „სასამართლოებმა უნდა შეიმუშაონ სახელმწიფო საიდუმლოების გრიფთან დაკავშირებით ოფიციალური გადამოწმების სწრაფი პროცედურები. ისინი უნდა შეიცავდნენ დასაბუთების მოთხოვნას და აგრეთვე ბრალდებულებისთვის იმ შესაძლებლობის და უფლების მიცემას. რომ მათ სადავო გახადონ აღნიშნული.“<sup>23</sup>

## **3. სასამართლო პრაქტიკა:**

ა) საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე N3/1/608 და N3/1/609 საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა რა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შეჯიბრებითობის პრინციპზე აღნიშნავს: „საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“. აღნიშნულ დებულებაზე მსჯელობისას, პირველ რიგში უნდა გავიჯნოთ სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითი მოდელი, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული სამართალწარმოების მოდელი და შეჯიბრებითობის პრინციპი, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი ელემენტი. სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითი მოდელი ხასიათდება საპროცესო

20 იხ.: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3509.pdf>, გვ.296.

21 იხ.: <http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true>

22 იხ.: <http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true> პარ.86

23 იხ.: <http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true>, რეკომენდაციები, გვ.66

მოქმედებების ჩატარების თავისებური სისტემითა და პროცესის მონაწილეთა როლების თავისებური გამიჯვნით. შეჯიბრებითი მოდელის ფუნდამენტურ ნიშანს წარმოადგენს მოსამართლის ნეიტრალურობის პირობებში სასამართლოში ჯეშმარიტების დამტკიცების ფუნქციის მხარეთა ინიციატივისთვის მინდობა. აღნიშნულ მოდელში მოსამართლის მიმართ ნეიტრალურობისა და პასიურობის მოლოდინი მოქმედებს, ხოლო თვით შეჯიბრებითი პროცესი დაფუძნებულია რწმენაზე, რომ სათანადოდ მომზადებული და დაინტერესებული მხარეები სასამართლოს წარუდგენენ საკმარის ინფორმაციასა და არგუმენტებს, ხოლო მოსამართლის ძირითად ამოცანას მხარეთათვის ასეთი შესაძლებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. შეჯიბრებით მოდელში, ზოგადი წესის მიხედვით, მხარეები წყვეტენ, რა მტკიცებულებებს და არგუმენტებს წარუდგენენ სასამართლოს და რა საკითხებზე იდავებენ.

სასამართლოს განმარტებით, როგორც სისხლის, ისე სხვა ტიპის სამართალწარმოების ფარგლებში შეჯიბრებითობის პრინციპის მთავარი მიზანია, უზრუნველყოს პროცესის მხარე შესაძლებლობით, გაცენოს, აზრი გამოთქვას და თუ ეს მის ინტერესებშია გააქარწყლოს ყველა მტკიცებულება და არგუმენტი, რომელზეც სასამართლომ შეიძლება დააფუძნოს თავისი მოსაზრება, აგრეთვე დაარწმუნოს სასამართლო თავისი პოზიციის სისწორეში, წარუდგინოს მას შესაბამისი მტკიცებულებები და მოსაზრებები, რასაც სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს თავის დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში, როგორც მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების, ისე უარყოფის შემთხვევაში. ამ მიზნიდან გამომდინარე, ნათელია, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს უფლების სხვა გარანტიებსაც – მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას, საკმარისი დროისა და შესაძლებლობის ქონას დაცვის მოსამზადებლად და დაცვის უფლებას, პირადად ან დამცველის მეშვეობით მოწინააღმდეგე მხარის მოწმეების დაკითხვის და საკუთარი მოწმეების გამოძახებისა და თანაბარ პირობებში დაკითხვის უფლებას, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღების უფლებას და ა.შ.

ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა – საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის განაჩენით სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ არასწორად განიმარტა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილში მოხსენიებული ტერმინი “სრული ინფორმაცია”, რაც არ გულისხმობს მხარეების დავალდებულებას ერთმანეთს გაუცვალონ და სასამართლოს მიაწოდონ დასაკითხ პირთა სია (ნუსხა). იმ ვითარებაში, როცა წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ დამტკიცებულია მოწმეთა გამოკითხვის ოქმები, სასამართლოს წარმოეშობა ვალდებულება, ყოველგვარი მტკიცებულებათა ნუსხის გარეშე, საერთო წესით გამოიკვლიოს ეს მტკიცებულებები.

გ) სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკა –

ა) თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებმა საქმეებში N1გ-1164, N1გ/1019, N1/გ-760 და N1/გ-720 მიიჩნია, რომ გამოკითხვის ოქმი არ წარმოადგენს მტკიცებულებას, მას არ აქვს სამართლებრივი ძალა და ის მხოლოდ შეიცავს ინფორმაციას, რომ ეს პიროვნება საქმის არსებითი განხილვისას დაადასტურებს ამა თუ იმ ფაქტობრივ გარემოებას. შესაბამისად გამოკითხვის ოქმების გაცვლა მხარისათვის, საკმარისი საფუძველია ვარაუდისათვის, რომ მხარეები ამ მტკიცებულებების სასამართლოში გამოკვლევას აპირებენ, ხოლო ცალკე დასაკითხ პირთა სიის შედგენა არ გამომდინარეობს საპროცესო კოდექსის მოთხოვნებიდან.

ბ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ 2015 წლის 14 აგვისტოს განჩინებით არ დააკმაყოფილა პროკურორის საჩივარი პირველი ინსტანციის მოსამართლის განჩინებაზე ბრალდების ყველა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ და მიიჩნია, რომ იმ ბრალდებულისათვის მტკიცებულებათა გადაცემა, რომელსაც ექსპერტიზის დასკვნის თანახმად არ შეუძლია დამოუკიდებლად საკუთარი დაცვის განხორციელება და, მაშინ, როცა ამ ბრალდებულს უკვე დანიშნული ჰყავდა ადვოკატი, წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის დარღვევას.

გ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 აგვისტოს განჩინებით (N1გ/1339-16) სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლით გათვალისწინებული 5 დღიანი ვადის დარღვევა სწორედ იმიტომ იწვევს ამ მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას, რომ კანონი კრძალავს მხარეების არათანაბარ პირობებში აღმოჩენას და შესაბამისად მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას.

დ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 27 თებერვლის განჩინებით (N1გ/273-17)





დ.ა) “დაყოვნება” შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ იმ დროით, რაც ინფორმაციის გადაცემისათვის ტექნიკური საკითხების გადასაწყვეტად არის აუცილებელი, შესაბამისად ინფორმაციის იმშუთიერად გადაუცემლობა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ ობიექტურად საჭირო ტექნიკური საკითხების გადასაწყვეტად აუცილებელი დროის ფარგლებით (საქმის მასალების მოცულობა, მოთხოვნის დაყენების დრო).

დ.ბ) 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მნიშვნელობა არ აქვს გააჩნია თუ არა ინფორმაციის მტკიცებულების ძალა, ანუ მიმართვის წერილები ან საპროცესო დოკუმენტები, რომელიც ცალსახად არ არის მტკიცებულება, აგრეთვე მოიაზრება იმ ინფორმაციაში, რომელიც მხარეებისათვის ინფორმაციის გადაცემის მომენტში მათ ხელთაა და ყველა შემთხვევაში ექვემდებარება გადაცემას.

დ.გ) გადაცემის წესის დარღვევის გამო დაუშვებლად ცნობილ მტკიცებულებებზე არ ვრცელდება ე.წ. “მოწამლული ხის ნაყოფის” პრინციპი, რადგან პირველადი მტკიცებულება დაუშვებლად იქნა მიჩნეული არა მისი მოპოვების, არამედ სხვა მიზეზის გამო.

ე) თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 10 ოქტომბრის N1გ-1566-16 განჩინებით გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ბრალდების მხარის იმ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობაზე, რომელიც მოპოვებული იყო დაცვის მხარის მიერ, მაგრამ ბრალდების მხარემ მიუთითა თავის ნუსხაში. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლემ გადაწყვეტილების მიღებისას მიიჩნია, რომ მართალია დაცვის მხარის მტკიცებულებების თავის ნუსხაში მითითებით, ბრალდების მხარემ საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები ფორმალურად დაიცვა, მაგრამ სხენებული მასალების როგორც ბრალდების მხარის მტკიცებულებებად ცნობა გამოიწვევს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევას. თუ ბრალდების მხარეს მიეცემა შესაძლებლობა დაცვის მხარის მტკიცებულებები საქმის არსებითი განხილვის შემთხვევაში სასამართლოში მიიტანოს როგორც თავისი მტკიცებულება, იგი აღმოჩნდება უპირატეს მდგომარეობაში დაცვის მხარესთან შედარებით, თვითონ გამოიკვლევს საქმეში არსებულ ყველა (ბრალდების და დაცვის) მტკიცებულებას, რითაც დაირვევა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. სხენებული გადაწყვეტილების შეფასებისას კი სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან სხენებული მტკიცებულებების მოპოვების, გაცვლის და სასამართლოში წარდგენის დროს საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევას ადგილი არ ჰქონია, ამასთან პროცესის შეჯიბრებითობიდან გამომდინარე მხარეები თავად განსაზღვრავენ თუ რომელს მტკიცებულებას წარმოადგენენ სასამართლოში, შესაბამისად ყველა ეს მტკიცებულება დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი და გამოკვლეულ იქნეს საერთო წესით.

#### **4. რეკომენდაცია**

შევიდეს ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში და განისაზღვროს, გრიფით საიდუმლო მასალების დაცვის მხარისთვის გაცნობის წესი და მათზე გავრცელდეს ის რეჟიმი, რაც გათვალისწინებულია ოპერატიული-სამძებრო და ფარული საგამოძიებო მოქმედებებით მოპოვებულ ინფორმაციაზე. ასევე, საქართველოს კანონით სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, უნდა განისაზღვროს გრიფით საიდუმლო დოკუმენტების ანდა მთლიანად გრიფით საიდუმლო საქმის მასალების გაცნობა/გადაცემის წესი.

## **8. მხარეების მომზადება ჯვარედინი დაკითხვისთვის – მოწინააღმდეგე მხარის მოწმის შესახებ ინფორმაციის წინასწარ მიღება**

### **1. პრობლემა / საკანონმდებლო ხარვეზი**

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ითვალისწინებს ბრალდებულის უფლებას ჰქონდეს საქმის მოსამზადებლად ადეკვატური დრო და პირობები. აღნიშნული უფლება სამართლიანი სასამართლოსა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის ნაწილს წარმოადგენს. ადეკვატური დრო და პირობები მოიცავს პროკურატურის მიერ არსებითი ინფორმაციის დროულ

მიწოდებას და ასევე, ბრალდებულის ინფორმირებას სასამართლოში ბრალდების მხარის მოწმეთა ვინაობის შესახებ თითოეული სასამართლო მოსმენის წინ საკმარისი დროით ადრე, რათა დაცვის მხარეს მიეცეს დრო ჯვარედინი დაკითხვის მოსამზადებლად. ჯვარედინი დაკითხვის შეასძლებლობა კი, თავის მხრივ, სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია.

სსსკ-ის<sup>24</sup> თანახმად, მხარე უფლებამოსილია ჯვარედინი დაკითხვის წესით დაკითხოს მეორე მხარის მიერ გამოძახებული მოწმე. თუმცა, სსსკ არ შეიცავს მითითებას, რომ მხარეებს აქვთ ვალდებულება წინასწარ მიაწოდონ ინფორმაცია მეორე მხარეს გამოძახებული მოწმეების ვინაობისა და დაკითხვის რიგითობის შესახებ.

ამ მიმართულებით ქართული სასამართლო პრაქტიკა განვითარდა არაერთგვაროვნად. ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოები ავალდებულებენ მხარეებს ინფორმაცია მიაწოდონ მეორე მხარეს სასამართლო პროცესზე გამოძახებულ მოწმეთა ვინაობისა და რიგითობის შესახებ ან თავად მხარეები კეთილი ნების საფუძველზე ახორციელებენ ამ ინფორმაციის გაცვლას, ხოლო ზოგჯერ, ბრალდების მხარე არ აწვდის დაცვის მხარეს ინფორმაციას ბრალდების მხარის მოწმეთა ვინაობის შესახებ. ეს საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია დიდი მოცულობის საქმეებში, სადაც ბრალდების მხარის ბევრი მოწმე დასაკითხი, ჯვარედინი დაკითხვის სრულფასოვნად ჩატარება კი შეუძლებელი ხდება დაცვის მხარის მიერ, მოწმეთა დაკითხვისათვის წინასწარი მომზადების გარეშე.

## **2. სხვადასხვა ორგანიზაციების კვლევები**

აღნიშნული პრობლემის თაობაზე აღნიშნულია ეუთოს 2014 წლის სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიშში<sup>25</sup>, რაც ეუთოს მონიტორების აზრით არღვევს მხარეთა თანასწორობის პრინციპს და ზღუდავს დაცვის მხარის მიერ ჯვარედინი დაკითხვის მომზადების შესაძლებლობებს. შედეგად, ამ ავტორიტეტული ორგანიზაციის მიერ მომზადებულია შემდეგი შინაარსის რეკომენდაცია: „საკანონმდებლო ორგანომ უნდა განიხილოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებებში შესწორებების შეტანის საკითხი მოწმეთა გამოძახების შესახებ, იმ თვალსაზრისით, რომ მხარემ, რომელიც იძახებს მოწმეს უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს მოწმისგამოცხადების დროისა და რიგითობის შესახებ“<sup>26</sup>.

სსსკ-ში გემოაღნიშნული ცვლილება დღემდე არ განხორციელებულა და დღესაც, რიგ შემთხვევებში ბრალდების მხარე არ აცნობს/ან დროულად არ აწვდის ინფორმაციას დაცვის მხარეს მოწმეების თაობაზე, ხოლო სასამართლო ეფექტიანად ვერ აწესრიგებს სიტუაციას. მაგ. 2017 წლის ერთ-ერთ საქმეში<sup>27</sup>, მიუხედავად დაცვის მხარის არაერთგზის მოთხოვნისა, ბრალდების მხარე რამდენიმე პროცესის განმავლობაში არ აწვდიდა ინფორმაციას მოწმეების შესახებ, მათ შორის სასამართლოს მოწოდების შემდეგაც და მხოლოდ მოგვიანებით (როცა რამდენიმე მოწმე უკვე დაკითხული იყო), დაიწყო ინფორმაციის მიწოდება დარჩენილი მოწმეების სასამართლოზე გამოძახების რიგითობის შესახებ.

## **3. რეკომენდაცია**

მიზანშეწონილია ცვლილების შეტანა სსსკ-ში, რათა მხარეს, რომელიც იძახებს მოწმეს, დაეკისროს ვალდებულება გონივრული ვადით ადრე, შეატყობინოს მეორე მხარეს წინასწარ გამოძახებული მოწმის ვინაობის შესახებ.

<sup>24</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 245-ე მუხლი.

<sup>25</sup> იხ.: <http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true> პარ. 171 „მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა ადეკვატური დროისა და პირობების უფლების დარღვევის პრობლემები, როგორიც არის პროკურატურის მიერ დაცვის მხარისთვის ინფორმაციის არ მიწოდება იმის თაობაზე, თუ რომელი მოწმე იქნებოდა დაბარებული საქმის კონკრეტულ მოსმენაზე და მოსამართლეთა მიერ დაცვის მხარის მიერ საქმის მოსამზადებლად დამატებითი გონივრული დროის მოთხოვნაზე უარის თქმა. უმეტეს საქმეებთან დაკავშირებით, მოსამართლეები აცხადებდნენ, რომ მათ არ ქონდათ უფლებამოსილება დაცვის მხარის მოთხოვნის საფუძველზე განეხილათ ბრალდების მხარისთვის, რომ მათ წინასწარეთქვათ თუ რომელ მოწმეებს დაიბარებდნენ კონკრეტული საქმის განხილვაზე“.

<sup>26</sup> იხ.: <http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true> გვ. 100

<sup>27</sup> საქმეს იხილავს რუსთავის რაიონული სასამართლო.



## 9. მტკიცებულებათა რელევანტურობის შეფასება სისხლის სამართლის პროცესში

### 1. პრობლემა / საკანონმდებლო ხარვეზი

სსსკ-ის 82-ე მუხლის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს მისი დასაშვებობის, რელევანტურობის და უტყუარობის თვალსაზრისით.

გარდა სსსკ-ის 82-ე მუხლისა, არ არსებობს სხვა ნორმა, რომელიც მტკიცებულებათა რელევანტურობის საკითხის შეფასებას შეეხება. განსხვავებით მტკიცებულებათა დასაშვებობისა და უტყუარობის კრიტერიუმებისაგან, რომელთა შეფასების კრიტერიუმები და ეტაპები განსაზღვრულია სსსკ-ს სხვა ნორმებითაც.

კერძოდ, სსსკ-ის 219-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის თვალსაზრისით მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების თავდაპირველი შეფასება ხდება წინასასამართლო სხდომაზე. ძირითადად, სწორედ, ამ ეტაპზე განიხილება შუამდგომლობები მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხებზე. ხოლო უტყუარობის კრიტერიუმით მტკიცებულების შეფასება ხდება ძირითადად არსებით სხდომაზე განაჩენში, ასევე, წინასასამართლო სხდომაზეც.

სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი წინასასამართლო სხდომის განაწესი ეხება მტკიცებულებათა შეფასებისას მხოლოდ მათი დასაშვებობის საკითხს — მოპოვებულია თუ არა მტკიცებულება კანონის არსებითი დარღვევით. რელევანტურობა არ არის დაკავშირებული მტკიცებულების მოპოვების კანონიერების ფორმალურ მხარესთან. რელევანტურობისთვის განმსაზღვრელია არა მტკიცებულების მოპოვების ფორმის დაცვა, არამედ შინაარსი. შესაბამისად, რელევანტურობის შეფასება უნდა ხდებოდეს არა მისი მოპოვების ფორმის დაცულობის, არამედ შინაარსის გათვალისწინებით — რამდენად არის მტკიცებულება შემხებლობაში საქმის ფაქტობრივ ანდა სამართლებრივ მხარესთან.

შესაძლებელია თუ არა არარელევანტური მტკიცებულების ჩამოშორება საქმის განხილვიდან წინასასამართლო სხდომაზე?

სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსის გათვალისწინებით, მტკიცებულებათა რელევანტურობის საკითხის შეფასება წინასასამართლო სხდომაზე რთულად განსახორციელებელია. წინასასამართლო სხდომაზე სასამართლოები არკვევენ მტკიცებულების მოპოვების ფორმის კანონიერებას, ანუ დასაშვებობის საკითხებს. სასამართლო პრაქტიკაც მოწმობს, რომ არარელევანტური მტკიცებულების საქმიდან გამორიდების საკითხის განხილვა წინასასამართლო სხდომაზე ძირითადად არ ხდება. სასამართლოები მტკიცებულებებს რელევანტურობის თვალსაზრისით აფასებენ არსებით სხდომაზე ახალი მტკიცებულების რელევანტურობის სადავოობის შემთხვევაში ან საბოლოო გადაწყვეტილების — განაჩენის მიღების დროს. თუმცა, არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც მოსამართლეებს წინასასამართლო სხდომაზე დაუშვებლად უცვნიათ მტკიცებულებები მათი არარელევანტურობის გამო.

მნიშვნელოვანია, მტკიცებულებათა რელევანტურობის საკითხის განხილვა მოხდეს არსებითი სხდომის დაწყებამდე — წინასასამართლო სხდომაზე. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის შემდეგი გარემოების გამო:

არარელევანტური მტკიცებულება არ შეიცავს ინფორმაციას საქმის შესახებ, ფაქტობრივი თუ სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით. თუმცა, მას შეუძლია უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს საქმის განხილვის პროცესზე, რაც დაუშვებელია. უსარგებლო, არარელევანტური მტკიცებულების მიწოდებით ჩნდება რისკი, რომ ნაფიცი მსაჯულის (რომელიც არ არის სამართლის სპეციალისტი) მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენას მოახდენს ისეთი ინფორმაცია, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს საქმის ფაქტობრივ ან სამართლებრივ მხარესთან. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში, მსაჯულები გადაწყვეტილებას მიიღებენ ისეთი „მტკიცებულების“ გავლენითაც, რაც არ არის რელევანტური საქმესთან. ამ რისკს ბოლომდე ვერ აღმოფხვრის მოსამართლის ან მხარეთა განმარტებები ნაფიც მსაჯულთა მიმართ. ამიტომ, მნიშვნელოვანია არარელევანტური მტკიცებულების დროული გამორიდება (სანამ ნაფიცი მსაჯულები შეირჩევიან) საქმის მასალებიდან.

აღნიშნული მნიშვნელოვანია ასევე იმ საქმეებშიც, სადაც ნაფიცი მსაჯულები არ მონაწილეობენ. ამ შემთხვევაში, არსებით სხდომაზე მხარეები, აღარ დახარჯავენ დროსა და სხვა რესურსს არარელევანტური მტკიცებულებების გაბათილებაზე.

## **2. სხვადასხვა ორგანიზაციების კვლევები**

აღნიშნულ პრობლემაზე უთითებდა თავის 2015 წლის კვლევაში სიფა. მის მიერ გაცემულია რეკომენდაცია: „შესაძლებლობა მიეცეს მხარეებს წინასასამართლო სხდომაზე იშუამდგომლონ არარელევანტური მტკიცებულების გამორიდების შესახებ. ასეთი რეგულირება დასაშვებია გათვალისწინებულ იქნას სსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილში, წინასასამართლო სხდომაზე განსახილველი საკითხების ჩამონათვალის გაზრდით.“<sup>28</sup>

## **3. რეკომენდაცია**

სსკ-ის 219-ე მუხლში უნდა შევიდეს ცვლილება და წინასასამართლო სხდომაზე განსახილველ საკითხთა შორის მიეთითოს აშკარად არარელევანტური მტკიცებულების დაუშვებლად შესახებ შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობაზე.

# **10. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ შუამდგომლობის დაყენების აკრძალვა არსებით სხდომაზე**

## **1. პრობლემა / საკანონმდებლო ხარვეზი**

დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხებს სასამართლო განიხილავს წინასასამართლო სხდომაზე,<sup>29</sup> სადაც მხარეებმა უნდა წარმოადგინონ შუამდგომლობები მტკიცებულებათა დაუშვებლობის თაობაზე.

მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის საკითხის დაყენება და განხილვა ასევე შეიძლება საქმის განხილვის არსებით სხდომაზე, თუმცა, მხოლოდ სსკ-ის 239-ე მუხლით<sup>30</sup> გათვალისწინებული წესით, გამონაკლისის სახით, დამატებითი მტკიცებულების დასაშვებად ცნობის საკითხის განხილვის დროს.

28 იხ.: [http://alfg.ge/wp-content/uploads/2015/07/sixlis-temaze-kvleva\\_opt.pdf](http://alfg.ge/wp-content/uploads/2015/07/sixlis-temaze-kvleva_opt.pdf) გვ.72.

29 სსკ-ის 219-ე მუხლით დადგენილი წესით.

30 სსკ-ის 239-ე მუხლი: 1. სხდომის თავმჯდომარე არკვევს, აქვთ თუ არა მხარეებს ამ მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობა. ერთგვაროვანი სახის შუამდგომლობები სასამართლოს ერთად წარედგინება. პირი, რომელიც დააყენებს შუამდგომლობას, ვალდებულია მიუთითოს, რა გარემოებათა დასადგენად არის დაყენებული შუამდგომლობა.

2. საქმის არსებითი განხილვის დროს დამატებითი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში სასამართლო მხარის შუამდგომლობით იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს და არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზს, რის საფუძველზედაც იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე მტკიცებულების დაშვება-არდაშვების თაობაზე.

3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი ნაფიცი მსაჯულების გარეშე განიხილება.

4. წარდგენილი დამატებითი მტკიცებულების საქმეზე დაშვების შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გონივრული ვადით გადადოს საქმის განხილვა, თუ მხარეს დაცვის ან ბრალდების პოზიციის მოსამზადებლად დამატებითი დრო ესაჭიროება.

5. შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვისას არსებითად ახალი მტკიცებულების მოპოვების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, თუ ამ მტკიცებულების მოპოვება ან მისი მოპოვების შესახებ შუამდგომლობის ამ კოდექსით დადგენილი წესით დაყენება მანამდე ობიექტურად შეუძლებელი იყო. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მტკიცებულების მოპოვება ხდება ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულებების გამოკვლევა ხდება ამ კოდექსით დადგენილი ზოგადი წესის დაცვით, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის თავისებურების გათვალისწინებით.





სასამართლოს არსებით სხდომაზე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობას ქართული სასამართლო პრაქტიკა არ აღიარებს და შესაბამისად, არსებითი განხილვის დროს, ამა თუ იმ მტკიცებულების გამოკვლევის დროს გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევის (რაც მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო) შემთხვევაში, მხარის მიერ ამ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის მოთხოვნას სასამართლო არ განიხილავს იქვე. მიუხედავად აღნიშნულისა, შესაძლებელია, რომ სასამართლომ ეს საკითხი შეაფასოს საბოლოო გადაწყვეტილებაში – განაჩენში.

ამგვარი პრაქტიკა დამატებით სირთულეებს წარმოშობს მხარეთათვის, კერძოდ:

ა) საქმეში, რომელსაც იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, არსებით სხდომაზე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხის განუხილველობა ზრდის რისკებს, რომ მსაჯულები ვერდიქტის გამოტანის დროს იხელმძღვანელებენ ისეთი მტკიცებულებით, რაც არ იყო დასაშვები;

ბ) მხარეები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, არსებით სხდომაზე, მტკიცებულების გამოკვლევისთანავე, მიიღონ სასამართლოს პასუხი მათ დასაშვებობაზე და მხოლოდ განაჩენის დასაბუთების შემდგომ იგებენ პასუხს ამ საკითხზე. ამ ვითარების გამო, მხარეები იძულებულნი არიან, გასწიონ ძალისხმევა საქმის არსებითი განხილვის მიმდინარეობისას და დასკვნით სიტყვებში ისეთი მტკიცებულებების გაანალიზებაზე (რამეთუ წინასწარ არ იციან დაუშვებლად ცნობს თუ არა მას მოსამართლე განაჩენში), რომელსაც საბოლოოდ სასამართლო არ გაიზიარებს დაუშვებლობის საფუძველით.

## **2. სხვადასხვა ორგანიზაციების კვლევები**

ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ – ს პროექტის ფარგლებში მოხდა რამდენიმე ქვეყნის ექსპერტის მოსაზრებების მიღება (გვ.22-23). კერძოდ, უნგრეთის, პოლონეთისა და აზერბაიჯანის სისხლის სამართლის პროცესის ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ მათ ქვეყნებში მხარე უფლებამოსილია მტკიცებულებათა დაუშვებლობის შუამდგომლობა დააყენოს პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.

აღნიშნული პრობლემა ასახეს 2016 წელს ჩატარებული კვლევის ავტორებმა „მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში“<sup>31</sup> და გასცეს რეკომენდაცია, რომ მხარეს მიეცეს შესაძლებლობა დააყენოს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა იმ ეტაპზე, როდესაც გამოვლინდა დაუშვებლობის საფუძველი.

დასახელებულ საკითხზე უთითებდა სიფა 2015 წლის კვლევაში.<sup>32</sup> აღნიშნულ კვლევაში ასოციაცია გამოყოფდა შემდეგ რეკომენდაციას: „სსსკ-ის 239-ე მუხლში განისაზღვროს შესაძლებლობა, რათა მხარეებმა მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების შემდეგ დააყენონ ერთიანი შუამდგომლობა მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ. ასეთი დამატება სსსკ-ში, მხარეებს მისცემდა შესაძლებლობას აღარ გაეწიათ ძალისხმევა დაუშვებელი მტკიცებულებების ირგვლივ დასკვნით სიტყვებში; ასევე, შეამცირებდა რისკებს, ნაფიცმა მსაჯულებმა (იმ საქმეებში, რომლებსაც განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო) გადაწყვეტილება მიიღონ დაუშვებელი მტკიცებულების საფუძველზე.“

## **3. რეკომენდაცია**

დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შეცვლა შესაძლებელია საკანონმდებლო ცვლილებით სსსკ-ის 249-ე მუხლში, რომელიც საქმის არსებით სხდომაზე შუამდგომლობის დაყენების და გადაწყვეტის წესს ეხება. კერძოდ, შესაძლებელია, ამ მუხლში განხორციელდეს დამატება, რომლითაც განისაზღვრება, რომ სასამართლო ასევე განიხილავს მტკიცებულების დასაშვებობის საკითხს, თუ არსებით სხდომაზე მტკიცებულების გამოკვლევის შემდეგ მხარე დააყენებს დასაბუთებულ შუამდგომლობას მისი დაუშვებლობის შესახებ.

31 იხ.: [https://www.osgf.ge/files/2016/Publications/merged\\_document\\_2.pdf](https://www.osgf.ge/files/2016/Publications/merged_document_2.pdf)

32 იხ.: [http://alfig.ge/wp-content/uploads/2015/07/sisxlis-temaze-kvleva\\_opt.pdf](http://alfig.ge/wp-content/uploads/2015/07/sisxlis-temaze-kvleva_opt.pdf)

იმისათვის, რომ არიდებულ იქნას მხარეების მიერ ამ უფლების ბოროტად გამოყენება და პროცესის არაგონივრული გაჭიანურება, შეიძლება დაწესდეს მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ ერთიანი შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობა, მხარეთა მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების შემდეგ.

## **11. მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განჩინების გასაჩივრება**

### **1. პრობლემა / საკანონმდებლო ხარვეზი**

წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე და იღებს გადაწყვეტილებას მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის ან შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და მტკიცებულების დაშვების შესახებ.

სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ ერთჯერადად, 5 დღის ვადაში საჩივრდება გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მეშვეობით სააპელაციო სასამართლოში.

კანონი არ ადგენს 5 დღიან ვადაში გასაჩივრების შესაძლებლობას იმ განჩინებისა, რომლითაც წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა და დასაშვებად ცნო მტკიცებულება.

მნიშვნელოვანია, მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა გაასაჩივროს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განჩინება მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

### **2. სხვადასხვა ორგანიზაციების კვლევები**

აღნიშნულ საკითხზე მიუთითებს ავტორთა ჯგუფი 2016 წ. მტკიცებულებების შესახებ განხორციელებულ კვლევაში. დოკუმენტში ასახულია რეკომენდაცია: „კოდექსის 219-ე მუხლის მე-7 ნაწილის ფორმულირება შეიცვალოს და მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ მოსამართლის გადაწყვეტილებები დასაშვებობის ნაწილშიც, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარის მიერ დაყენებულ იქნა დასაშვებად ცნობილი მტკიცებულების დაუშვებლობის მოთხოვნა.“

### **3. რეკომენდაცია**

პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, საჭიროა, საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-7 ნაწილში განხორციელდეს ცვლილება და მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ მოსამართლის გადაწყვეტილებები დასაშვებობის ნაწილშიც, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარის მიერ დაყენებულ იქნა შუამდგომლობა მტკიცებულების დაუშვებლობის მოთხოვნით და ეს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა მოსამართლის მიერ.



## 12. ბრალდებულის ადრინდელი ნასამართლობა

### 1. პრობლემა / საკანონმდებლო ხარვეზი

სსსკ-ს 115-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „ნასამართლობის შესახებ შეკითხვა მოწმეს შეიძლება დაესვას, თუ ის საჭიროა მოწმის სანდობის დადგენისათვის.“

სსსკ-ის 238-ე მუხლის თანახმად, „ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ (თუ ეს არ არის წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი ან/და გამიზნული არ არის ბრალდებულის ჩვენების სანდობის შესამოწმებლად), აგრეთვე ნებისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან.“

შესაბამისად, ბრალდებულის ადრინდელი ნასამართლობის შესახებ შეიძლება ეცნობოს სასამართლოს (მათ შორის ნაფიც მსაჯულებს) თუ ეს საჭიროა მოწმის სანდობის შესამოწმებლად.

ბრალდებულის ადრინდელი ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია კავშირშია ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციასთან. ბრალდებულის წინა ნასამართლობის შესახებ მსჯელობის დაშვებამ შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, რომ ბრალდებული არის კრიმინალი, რაც შეიძლება არ შეესაბამებოდეს საქმეში წარმოდგენილ ფაქტებს და შექმნას შთაბეჭდილება, რომ მოსამართლე მოქმედებს პირის დამნაშავეობის შესახებ წინასწარ შექმნილი აზრის საფუძველზე. ამიტომ, ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია ძალიან ფრთხილად უნდა მიეწოდოს სასამართლოს, განსაკუთრებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.

### 2. სხვადასხვა ორგანიზაციების კვლევები

აღნიშნული რისკის თაობაზე მსჯელობს თავის 2014 წლის სასამართლო მონიტორინგის ანგარიშში ეუთო, რომელიც განმარტავს, რომ „მიუხედავად იმისა, რომ წინა ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია შეიძლება არ იქნას წარმოდგენილი სავალდებულოდ, ბრალდების მხარეს მაინც უნდა მოეთხოვოს მისი დასაშვებობის შესახებ მტკიცება ბრალდებულის მიმართ, როცა ნასამართლობა დანაშაულის აუცილებელი ნიშანია ან ბრალდებულის მიერ გაკეთებული განცხადებების სანდობის დადასტურება მოწმდება. ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი ინფორმაცია არ უნდა იქნას წარმოდგენილი საქმის არსებით განხილვაზე, თუ წინასასამართლო სხდომის მოსამართლე დაადგენს, რომ მის მიერ გამოწვეული ზიანი გადაწონის მის მტკიცებით ღირებულებას.“<sup>33</sup>

დასახელებულ კვლევაში, სასამართლო პრაქტიკაზე დაკვირვების შედეგად, გამოთქმულია მოსაზრება, რომ არსებობს „მოსამართლეების მიერ მიზეზის აუხსნელად სასამართლო პროცესებზე ბრალდებულის წინა ნასამართლობის შესახებ მსჯელობის დაშვების პრაქტიკა“<sup>34</sup> და ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის რუტინული გამოყენება, რაც ქმნიდა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის საფრთხეს.<sup>35</sup> „ბრალდებულის ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა და წინა ნასამართლობაზე მსჯელობა, თუ ასეთი ინფორმაცია არ არის რელევანტური ან არ აქვს მტკიცებულებითი მნიშვნელობა კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის უზრუნველყოფისთვის.“<sup>36</sup>

ეუთოს მონიტორინგის საბოლოო დოკუმენტში წარდგენილია რეკომენდაცია, რომ „სასამართლოებმა წინა ნასამართლობის შესახებ ცნობების დასაშვებობის შესაძლებლობა წინასასამართლო ეტაპზე უნდა განიხილონ, უდანაშაულობის პრეზუმფციაზე მათი შესაძლო გავლენის გათვალისწინებით.“

დასახელებული რეკომენდაცია ჯერჯერობით არ ასახულა სსსკ-ში. ამიტომ, ეუთოს მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი დარღვევების რისკი კვლავაც რჩება.

33 იხ.: <http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true> პუნქტი 113.

34 იხ.: <http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true> პუნქტი 112.

35 იხ.: <http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true> პუნქტი 9.

36 იხ.: <http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true> პუნქტი 114.

### 3. რეკომენდაცია

ცვლილება შევიდეს სსსკ-ს 219-ე მუხლში და წინასასამართლო სხდომაზე განსახილველ საკითხად იქნას აღიარებული ბრალდებულის ადრინდელი ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის არსებით სხდომაზე დაშვების მიზანშეწონილობის საკითხი.

## 13. სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით განაჩენში ბრალდებულის ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა

### 1. პრობლემა / საკანონმდებლო ხარვეზი

სსსკ-ის 273-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად სასამართლო ვალდებულია, თუ დაადგენს, რომ ბრალდების კვალიფიკაცია არასწორია, განაჩენში დაასაბუთოს ბრალდებულის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლის მოტივები და საფუძვლები.

ერთი შეხედვით, სსსკ-ის დასახელებული ნორმის მიზანი და სავარაუდოდ, კანონმდებლის ნებაც ის იყო, რომ ნორმას შეექმნა დამატებითი გარანტიები ბრალდებულის ინტერესების დასაცავად და არ დაეშვა მისი მსჯავრდება წარდგენილი კვალიფიკაციით, თუკი ეს კვალიფიკაცია არ დადასტურდება სასამართლო განხილვის დროს. თუმცა, რეალურად, ამ ნორმას აქვს საპირისპირო ეფექტიც და ქმნის ბრალდებულის მნიშვნელოვანი საპროცესო უფლებების დარღვევის რისკს. ამ უფლებებში მოიაზრება ბრალდებულის უფლება, იცოდეს რაში ედება ბრალი და ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობები დაცვის მოსამზადებლად. ხაზგასასმელია, რომ რისკი არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა ხდება ბრალდებულის/ დაცვის მხარის შუამდგომლობის გარეშე, მხოლოდ სასამართლოს ინიციატივით.

ბრალდებულის უფლება, ეცნობოს მისთვის წაყენებული ბრალდების არსი, გარანტირებულია კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით. ხოლო, უფლება, ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობები დაცვის მოსამზადებლად, გათვალისწინებულია კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით.

სსსკ-ის 273-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა წარმოშობს ვითარებას, როცა ბრალდებულს არ აქვს ინფორმაცია ახალი (თუნდაც უფრო მსუბუქი) ბრალდების შესახებ და შესაბამისად, არც შესაძლებლობა, მოამზადოს დაცვითი სტრატეგია ამ ბრალდების ირგვლივ. ევროპული სასამართლო, ეროვნული სასამართლოს მიერ განაჩენში ქმედების კვალიფიკაციის შეცვლას განიხილავს სწორედ ახალი ბრალდების წაყენების დაუშვებლობის ჭრილში.

ევროპული სასამართლოს რამდენიმე პრეცედენტი ეხება სწორედ ანალოგიურ ვითარებას — როდესაც სასამართლომ საკუთარი ინიციატივით შეცვალა ქმედების კვალიფიკაცია. მაგ: პელისიეს (Pelissier); დალოსის (Dallos); სადაკის (Sadak), სიპავიჩიუსის (Sipavicius) საქმეები.

ამასთან, ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მნიშვნელობა არ აქვს სასამართლოს მიერ კვალიფიკაციის შეცვლით შემსუბუქდა თუ არა პირის ბრალი. მნიშვნელოვანია, პირს წინასწარ ეცნობოს ბრალის შეცვლის შესახებ თუ მნიშვნელოვნად განსხვავდება შეცვლილი და პირვანდელი ბრალდების ძირითადი ელემენტები. საქმეში აბრამიანი რუსეთის წინააღმდეგ, განმცხადებელმა ქმედების კვალიფიკაციის შეცვლის (უფრო მძიმე მუხლი — ქრთამის გამოძალვა, შეიცვალა შედარებით მსუბუქი თაღლითობით) შესახებ გაიგო მხოლოდ განაჩენის გამოცხადების დღეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ქრთამის გამოძალვისა და თაღლითობის მნიშვნელოვანი ელემენტები განსხვავებულია. ამიტომ, დაასკვნა, რომ პირი მოკლებული იყო შესაძლებლობას, მოემზადებინა დაცვა შეცვლილი ბრალდების ირგვლივ.<sup>37</sup>

აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ გასაჩივრების ეტაპზე სრულად განიხილა საქმე, რითიც გამოსწორდა ხარვეზები და ბრალდებულს მიეცა შესაძლებლობა, მოემზადებინა დაცვა ახალი ბრალდების ირგვლივ, მე-6 მუხლის დარღვევა არ დადგინდება. ზემოაღნიშნულ პრეცედენტებში, გარდა

37 იხ. აბრამიანი რუსეთის წინააღმდეგ (Abramyan v. Russia), no 10709/02, ECHR, 09 იანვარი 2009.

აბრამიანის საქმისა, გასაჩივრების ეტაპზე, ეს ხარვეზები გამოსწორებული იყო ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ. აბრამიანის საქმეში კი, ზემდგომმა სასამართლომ განხილვაზე არ მიიწვია მსჯავრდებული ან დამცველი და ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ რადგან განმცხადებელს და მის დამცველს არ მიეცათ ზემდგომ სასამართლოში შეცვლილ ბრალდებასთან დაკავშირებით პოზიციის უშუალოდ წარდგენის შესაძლებლობა, განმცხადებელს წაერთვა შესაძლებლობა, ეფექტიანად დაეცვა თავი შეცვლილი ბრალდებისაგან.

საინტერესოა, შესაძლებელია თუ არა სსკ-ის საფუძველზე, სასამართლოს განხილვის ეტაპზე ან ზემდგომი სასამართლოს მიერ ამ ხარვეზის გამოსწორება.

სსკ არ ითვალისწინებს სასამართლო განხილვის ეტაპზე მოსამართლის მიერ ბრალის შესაძლო გადაკვალიფიკირების შესახებ ბრალდებულისთვის ინფორმაციის წინასწარ მიწოდების შესაძლებლობას ანდა ვალდებულებას. ზოგიერთ შემთხვევაში, მოსამართლემ თავისი ინიციატივით შესაძლებელია შეატყობინოს მხარეებს, რომ შესაძლოა ქმედებაში იკვეთებოდეს დანაშაულის არა ის შემადგენლობა, რაც ბრალად აქვს წარდგენილი ბრალდებულს, არამედ დანაშაულის სხვა შემადგენლობა. თუმცა, ამის შესახებ ინფორმირების კანონისმიერი ვალდებულება მოსამართლეს არ აქვს. სსკ-ს სტრუქტურისა და სისტემის გათვალისწინებით, რთული იქნება სსკ-ში ამგვარი ცვლილების ინიცირება. ეს მოითხოვს გამოძიების, ბრალის წაყენების, მტკიცებულებათა სისტემისა და დასაშვებობის საკითხების მარეგულირებელი პროცესუალური ნორმების მნიშვნელოვან ცვლილებებს. თუმცა, ამ ეტაპზე შესაძლებელია ხარვეზის გამოსასწორებლად შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების სრულყოფა განაჩენის გასაჩივრების (სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში) სტადიაზე.

ამჟამად, სსკ-ის 297-ე მუხლით, შეზღუდულია სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ფარგლები, მათ შორის, მტკიცებულების მიღებისა თუ დაუშვებლად ცნობის შესაძლებლობები. ასე მაგალითად, სსკ-ის 297-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ახალი მტკიცებულება შესაძლოა გამოკვლეულ იქნას სააპელაციო სასამართლოში, თუ მხარე დაასაბუთებს, რომ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პოზიციის დასაბუთებლად და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მისი წარმოდგენა ობიექტურად შეუძლებელი იყო.“ ამდენად, დაცვის მხარე შეზღუდულია კვალიფიკაციის შეცვლის გასაჩივრებისას ახალ მტკიცებულებათა წარდგენის შესაძლებლობით. შესაბამისად, მიზანშეწონილია, მოხდეს სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახალი არსებითი განხილვის და მტკიცებულებათა წარდგენის ფარგლების გაფართოება იმ შემთხვევებში, როცა გასაჩივრებულია სასამართლოს მიერ შეცვლილი კვალიფიკაცია. ასეთ შემთხვევაში, მხარეებს უნდა მიენიჭოთ დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა.

## **2. სხვადასხვა ორგანიზაციების მოსაზრებები**

დასახელებულ საკითხზე უთითებდა თავის 2105 წლის კვლევაში აღნიშნულ საკითხზე უთითებდა სიფა 2015 წლის კვლევაში, რომელიც შეეხებოდა მხარეთა თანასწორობისა და უზრუნველყოფის პრინციპის უზრუნველყოფას სისხლის სამართლის პროცესში. კვლევაში გამოთქმული იყო რეკომენდაცია სააპელაციო სასამართლოში ახალ მტკიცებულებათა წარდგენის ფარგლების გაფართოების მიზანშეწონილობის შესახებ, როდესაც გასაჩივრებულია სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით შეცვლილი კვალიფიკაცია.

## **3. რეკომენდაცია**

გაფართოვდეს სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახალი არსებითი განხილვის და მტკიცებულებათა წარდგენის ფარგლები იმ შემთხვევებში, როცა გასაჩივრებულია სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით შეცვლილი კვალიფიკაცია ანდა დანაშაულის ძირითადი ელემენტების ცვლილება. ამ დროს მხარეებს უნდა მიენიჭოთ შეცვლილი ბრალის გათვალისწინებით დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის და უკვე გამოკვლეული მტკიცებულების ხელახალი გამოკვლევის შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, პირველ ინსტანციაში იყო თუ არა მათი წარდგენა და გამოკვლევა ობიექტურად შესაძლებელი.



## 14. ირიბი ჩვენება

### 1. პრობლემა / საკანონმდებლო ხარვეზი

სსსკ-ის 76-ე მუხლის თანახმად:

1. ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.
2. ირიბი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია.
3. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულება, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.

შესაბამისად, აღნიშნული ფორმულირების თანახმად, ირიბი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულება, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროზე და მის მიერ მიცემული ჩვენება გამყარებულია სხვა ისეთი მტკიცებულებით, რაც არ არის ირიბი ჩვენება.

თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით<sup>38</sup> სსსკ-ის 76-ე მუხლში მითითებული ირიბი ჩვენების დასაშვებობის სტანდარტი უარყოფილ იქნა ორი უმნიშვნელოვანესი საპროცესო გადაწყვეტილების დროს, კერძოდ, ბრალის წაყენებისა და განაჩენის გამოტანის დროს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსსკ-ის მე-13-ე მუხლის მე-2 ნაწილის<sup>39</sup> ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა სსსკ-ის 76-ე მუხლით განსაზღვრული მტკიცებულების ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას.

ასევე, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსსკ-ის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის<sup>40</sup> ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას ირიბი ჩვენების საფუძველზე.

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ მის გადაწყვეტილებას გარკვეული განსხვავებული ინტერპრეტაციები მოჰყვა, რეალურად, აკრძალა ირიბი ჩვენების გამოყენება ბრალდების დადგენილებისა და განაჩენის დასაბუთებისათვის.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ, სახელმწიფომ დაიწყო გარკვეული აქტივობა ირიბი ჩვენების დასაშვებობის დეტალური კრიტერიუმების ჩამოსაყალიბებლად, თუმცა, შესაბამისი ცვლილება სსსკ - ში ასახული არ არის.

38 იხ.: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalaqe-zurab-miqadze-saqartvelos-parlamentis-winaagmddeg-884.page>

39 სსსკ-ის მე-13-ე მუხლის მე-2 ნაწილი: „ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყვეტილების საფუძველზე ამ ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების - ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას“.

40 სსსკ-ის 169-ე მუხლის პირველი ნაწილი: „პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა. არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყვეტილების საფუძველზე ამ ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების - ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას“.

## 2. სხვადასხვა ორგანიზაციების კვლევები

საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში<sup>41</sup> ასახულია საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილების იმპლემენტაციის საკითხი საერთო სასამართლოების მიერ.

სახალხო დამცველის მონიტორინგმა გამოავლინა, რომ საერთო სასამართლოები ხშირ შემთხვევაში არ იყენებენ აღნიშნული გადაწყვეტილების არსობრივ ნაწილს, არამედ ფორმალისტური მიდგომით ითვალისწინებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილს. 2015 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საპროცესო კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებითაც, ირიბი ჩვენების საფუძველზე, შესაძლებელი იყო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა. საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების უგულვებლყოფის შედეგად ძალაში რჩება არაერთი განაჩენი, რომელიც არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზეა გამოტანილი.<sup>42</sup>

აღნიშნულ პრობლემაზე მიუთითებს მკვლევართა ჯგუფი მტკიცებულებების შესახებ 2016 წლის კვლევაში.<sup>43</sup> კვლევაში ასახულია რეკომენდაცია: „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 13-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლებში არ განხორციელებულა შესაბამისი ცვლილებები და სასამართლოს უწევს საკუთარი და ხშირად არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია მისცეს ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებულ სხვა ნორმებსაც. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უკვე მომზადდა კანონპროექტი “საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების თაობაზე”, რომელიც დეტალურად ითვალისწინებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებებს ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ხსენებული კანონპროექტის საქართველოს პარლამენტის მიერ განხილვა და დამტკიცება დღემდე ვერ მოხერხდა. შესაბამისად, მიზანშეწონილია, საქართველოს პარლამენტმა დაიქარებულ რეჟიმში განხილოს უკვე მომზადებული კანონპროექტი და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.“<sup>44</sup>

## 3. სასამართლო პრაქტიკა

ა) საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა - საქმეზე N1/1/548 საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძის სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმატიული შინაარსი, რომლებიც ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისა და პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას ითვალისწინებს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი და 169-ე მუხლის პირველი ნაწილი).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ კონსტიტუციის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენის მიღება და პირის ბრალდება უნდა მოხდეს მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე, რომელთა ნამდვილობა ეჭვს არ იწვევს, სხვა შემთხვევაში ჩნდება პირის უსაფუძვლო და თვითნებური ბრალდების რისკი. როგორც სასამართლო აღნიშნავს: „დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან

დაკავშირებით. საზოგადოება, რომელიც იღვწის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვად, იცის ადამიანის თავისუფლების ფასი, არ დაუშვებს ისეთი პირის მსჯავრდებას, რომლის ბრალეულობა მიუკერძოებელი და გონიერი დამკვირვებლისთვის საეჭვო რჩება”.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ირიბი ჩვენება ზოგადად ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა და მისი გამოყენება შეიძლება დასაშვებია

41 იხ.: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf>

42 იხ.: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> გვ.389.

43 იხ.: [https://www.osgf.ge/files/2016/Publications/merged\\_document\\_2.pdf](https://www.osgf.ge/files/2016/Publications/merged_document_2.pdf)

44 იხ.: [https://www.osgf.ge/files/2016/Publications/merged\\_document\\_2.pdf](https://www.osgf.ge/files/2016/Publications/merged_document_2.pdf) გვ: 156

იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და არა მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ზოგადი წესით, თუ არსებობს ობიექტური მიზეზი, რის გამოც შეუძლებელია იმ პირის დაკითხვა, რომლის სიტყვებსაც ემყარება ირიბი ჩვენება და როდესაც ეს აუცილებელია მართმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, ხოლო ირიბი ჩვენების დასაშვებად ცნობის და მისი გამოყენების საკითხის გადაწყვეტა მკაფიოდ ფორმულირებული მარეგულირებელი ნორმებისა და სათანადო პროცესუალური გარანტიების პირობებში უნდა მოხდეს.

